



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის სამაგისტრო
პროგრამის მეოთხე სემესტრის სტუდენტი

ნინო ჯილაური

**პროცენტის გადახდა ფულადი ვალდებულების შესრულების
ვადაგადაცილებისას**

**მიმართება ზიანის ანაზღაურებასა და პირგასამტეხლოს გადახდის
მოთხოვნებთან**

ხელმძღვანელი: ნათია ჩიტაშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

სარჩევი	2
შესავალი	4
თავის I. პროცენტის ცნების ისტორიული მიმოხილვა.....	6
თავი II. პროცენტის არსი სამოქალაქო სამართალში.....	10
1. პროცენტის ცნება და სახეები.	10
2. პროცენტზე შეთანხმება, როგორც მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების პრონციპი.....	11
თავი III. ფულადი ვალდებულება	14
1. ფულადი ვალდებულება, როგორც პროცენტის არსებობის წინაპირობა.....	14
2. ფულადი ვალდებულების შესრულებისა და მისი შეუსრულებლობის შედეგები	18
თავი IV. პროცენტი, როგორც მოვალის „ჯარიმა“ ვადაგადაცილებისას და როგორც სარგებელი.....	21
1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი.	21
1.1 ნორმის მიზანი, რეგულირების საგანი და სუბიექტები.....	21
1.2 ნორმის მოქმედების ფარგლები.....	23
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი.	24
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლისა და 625-ე მუხლის ურთიერთმიმართება.	26
თავი V. პროცენტის როლი საბანკო სამართალურთიერთობებში.....	28
1. საბანკო-საკრედიტო სისტემისთვის პროცენტი, როგორც სარგებლის მიღების საშუალება.	28
2. სარგებლის დარიცხვის პერიოდი და მისი ოდენობის განსაზღვრა	31
3. პროცენტის გადახდის მოთხოვნის ხანდაზმულობა	33
4. პროცენტის დარიცხვის წინაპირობები ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე.....	34
5. ვადაგადაცილების შემდგომ განხორციელებული გადახდების ჩათვლა ძირითადი თანხის ან/და ვადაგადაცილების პროცენტის ანგარიშში.....	36
6. ბანკიდან მიღებული სესხის პროცენტის ზიანად შეფასება.....	37
6.1 ზანის ანაზღაურების მოვალეობა.....	37
6.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი, როგორც სესხისათვის გადახდილი პროცენტის ზიანად დაკვალიფიცირება.....	41
თავი VI. პირგასამტეხლოს ცნება და მისი გადახდის ვალდებულება.....	43
1. პირგასამტეხლოს ცნება და სახეები.	43

- 2. პირგასამტეხლოს მიმართება პროცენტთან..... 47
- 3. პირგასამტეხლოს სამართლებრივი შედეგი და მოვალის ინტერესების დაცვა..... 48
- 4. პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება და მისგან გათავისუფლება 51

თავი VII. პროცენტის გადახდა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის მიხედვით.
..... 55

თავი VIII. საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა და სტატისტიკური ანალიზი. 58

დასკვნა 62

ბიბლიოგრაფია 67

შესავალი

ბოლო პერიოდში უმრავლესობის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად და პრობლემად იქცა პროცენტის გადახდა ფულადი ვალდებულების შესრულებისას. დღითი დღე იზრდება რაოდენობა ნებისმიერი სახით გაცემული სესხების. აქტუალურია საბანკო ურთიერთობაში მონაწილეობა. ეს ყველაფერი განპირობებულია საზოგადოებისა და ცხოვრების განვითარებით, რომ მათ ფურო მეტი ფულადი სახსრები სჭირდებათ ვიდრე აქამდე. ასეთ შემთხვევაში ადამიანის „ხსნა“ ფულადი ვალდებულების აღებაშია, რასაც როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები გააჩნია. დადებითი უპირველეს ყოვლისა არის ის, რომ ადამიანი იღებს ფულს მაშინ როცა სჭირდება, ხოლო უარყოფითია ის გარემოებები, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს ფულად ვალდებულებას, იქნება ეს პროცენტს გადახდა (ზედმეტი სახსრების გაღება), პროცენტის გადაუხდელობა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ.

სამაგისტრო ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული ფულად ვალდებულებებზე, მის ცნებასა და თავისებურებებზე, ასევე, პროცენტის გადახდაზე მაშინ, როცა ფულადი ვალდებულების შესრულება ვადაგადაცილებულია. გარდა ამისა, დიდი ადგილი დაეთმოა ზემოთხსენებულის მიმართებას ზიანის ანაზღაურებასთან და პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნებთან. ნაშრომში განხილული იქნება ის საკითხები, რასაც როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში ვხვდებით აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებით და მოყვანილი იქნება სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა. ნაშრომის მიზანია გამოიკვეთოს ის პრობლემები, რაც უარყოფითად ახასიათებს ფულად ვალდებულებებს. მოხდება ამ პრობლემის მოგვარების გზების დასახვა სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით.

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც უფრო აშკარად გამოჩენს ცალკეული საკითხის მანკიერ მხარეებს. პროცენტის დარიცხვა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას ხშირ შემთხვევაში მხარეებს ერევათ პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურებაში. აღნიშნული საკითხი ყოველთვის იწვევს მხარეებს შორის გაურკვევლობას და უმეტესად დაზარალებული მხარე არასწორად აყალიბებს თავის მოთხოვნას. რა მოხდება მაშინ როცა საქმე სასამართლომდე არ მივა და ხელშეკრულების დამრღვევი მხარე შეასრულებს კრედიტორის მოთხოვნას? გადაიხდის შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოს, ან სულაც დაერიცხება ვადაგადაცილების პროცენტი მაშინ როცა მხარეები სულაც არ შეთანხმებულან მის არსებობაზე. არსებობს თუ არა რაიმე ბერკეტი იმისა, რომ არ მოხდეს მსგავსი შემთხვევა? ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს აქვს მხოლოდ ორი გზა, საქმე მიიყვანოს სასამართლომდე ან დაემორჩილოს კრედიტორის მოთხოვნას, რომელმაც შესაძლებელია თავად ჩააგდოს

დაზარალებულის ამპლუაში და კრედიტორის უსაფუძვლოდ გამდიდრება გამოიწვიოს.

გარდა ამისა, პრობლემა ჩნდება ორი განსხვავებული პროცენტის გამიჯვნასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, დამაბნეველია პროცენტის ცნების განსხვავება ორ შემთვევაში; როგორც სარგებელის, რომელიც ერიცხება მსესხებელს სესხის ხელშეკრულების პერიოდში და როგორც პასუხისმგებლობის საშუალების ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას. არის შემთვევები, როდესაც კრედიტორი ითხოვს ხელშეკრულების პერიოდში დარიცხული პროცენტის გადახდას მოვალის მხრიდან შესრულების ვადაგადაცილებისას, რაც არ არის, მართებული რადგან ვადაგადაცილების დროს პროცენტის დარიცხვას სჭირდება სპეციალური შეთანხმება თვით ამ კონკრეტულ ხელშეკრულებაში, წინააღმდეგ შემთვევაში მოვალისგან მის გადახდას ვერ მოითხოვს. საინტერესოა საბანკო ურთიერთობებს პროცენტის როლი. საბანკო დაწესებულები სითამამით გამოირჩევიან სარგებლის დარიცხვასთან დაკავშირებით და მსესხებელს ერთ პატარა გადაცდომასაც არ პატიობენ მაშინ, როცა შეიძლება თავად უფრო მეტი დარღვევა ჰქონდეთ გაკეთებული. საბანკო სამართალში აქტუალურია პროცენტი, როგორც სარგებელი და პირგასამატებლო, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება.

საკმაოდ მნიშვნელოვანია პირგასამატებლოსა და ვადაგადაცილების პროცენტის ერთმანეთისგან გამიჯვნის საკითხი, რადგან ორივე ემსახურება ვალდებულების შესრულებას. ერთი შეხედვით ისინი შეიძლება გავდეს ერთმანეთს და ხელშეკრულების მხარეებს შორის გამოიწვიოს გაურკვევლობა და მათი შეცდომაში შეყვანა. მაგარმ, კარგად თუ მოხდება მასზე დაკვირვება, პირგასამატებლოსა და პროცენტს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა.

როგორც სამართლის ყველა დარგში, ისე ამ შემთხვევაშიც საინტერესოა საერთაშორისო სამართლის კუთხით რა რეგულაციებია ვადაგადაცილების პროცენტთან დაკავშირებით. საერთაშორისო სამართლის განხილვასთან ერთად ნათლად გამოჩნდება საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისოთან შესაბამისობას და ის, თუ რა არის დასახვეწი და არა შიდა კანონმდებლობაში. ის დირექტივები რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე არეგულირებენ რაიმე ურთიერთობას, მოქმედებს კანონმდებლობაზეც თუ საქართველო არის წევრი სახელმწიფო. მსგავსი დირექტივები და ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იყოს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს.

თავის I. პროცენტის ცნების ისტორიული მიმოხილვა

სიტყვა "პროცენტი" მოდის ლათინური სიტყვიდან "pro centum", რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს "ასიდან". პრაქტიკაში ძალიან მოსახერხებელია მისი გამოყენება, რადგან ის გამოხატავს მთელ ნაწილებს და საშუალებას იძლევა გამარტივდეს გაანგარიშება.

პროცენტი ეს არის გადასახადი, რომელსაც მსესხბელი უხდის გამსესხებელს. როგორც არაერთხელ აღინიშნა, დღეისათვის პროცენტის გადახდა საკმაოდ აქტუალურია. მაშინ, როცა ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ტელევიზორში, რადიოსა თუ ჟურნალებში ვხვდებით პროცენტის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია, საინტერესოა მისი წარმოშობის ისტორიაც.

პროცენტის არსებობა სათავეს იღებს ქრისტეს შობამდე 5000 წელს შუა აღმოსავლეთში, როდესაც აქტუალური იყო ფულის გასესხება საკვებისთვის. პროცენტი კი განისაზღვრებოდა ცხოველისგან მიღებული პროდუქტებითა და მარცვლეულის მოსავლით. ხოლო, ძველი ებრაული რელიგიის მიხედვით კი პროცენტის განსაზღვრა აუცილებელი იყო სოფლისმეურნეობისა და მოსახლეობის განვითარებისთვის, ურბანიზაციისთვის.

გარდა ამისა, პროცენტი საკმაოდ უცნაურ ადგილს იკავებდა ერთ-ერთ უძლიერეს სამართალში, როგორცაა ისლამური სამართალი. ეს უკანასკნელი გამოირჩევა იმით, რომ სესხის არსებობის შემთხვევაში პროცენტის გადახდა იკრძალებოდა. თითქმის ყველა თანამედროვე წყარო ისლამური სამართლისა და ისლამური საფინანსო სექტორის საჯაროდ აცხადებს, შარიათი (ისლამური სამართალი) კრძალავს პროცენტს. აღნიშნული განცხადება პარადოქსულია იმ პრაქტიკის ფონზე, რაც ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე ხდება.¹ პროცენტის სანაცვლოდ, საკმაოდ ხშირი იყო ფასდაკლებები, მოგების განაწილება და გადაყიდვის შეთახმებები.

ასეთი სამართლებრივი „ხრიკების“ არსი შეიძლება აღვიქვათ, როგორც კანონიერი საშუალებით უკანონო მიზნის მიღწევა.² მსგავსი ქმედების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი, რომელიც შიიტმა სწავლულებმა დაადგინეს: „თუ მოვალე კრედიტორს თავისი ნებით, იძულების გარეშე ზედმეტს გადაუხდის, მისი ქმედება დანაშაულად არ ჩაითვლება.“³

საინტერესოა, რატომ იკრძალებოდა ისლამურ სამართალში პროცენტის გადახდა. ამის მიზეზს წარმოადგენდა როგორც რელიგია, ასევე ის, რომ აღნიშნული მეთოდი მოქმედებდა მხოლოდ ისლამურ ქვეყნებში, რომელთა

¹ *El-Gamal, Mahmoud A.* Interest and paradox of Contemporary Islamic Law and Finance, Fordham International Law Journal, The Berkeley Electronic Press, 2003, 108. <http://ir.lawnet.fordham.edu/ilj>

² *სურგულაძე ნ.*, ისლამური სამართლის საკითხები, ლექციების კურსი II (საკულტო წესები, სანივთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი), თბილისი, 2005, 35.

³ იქვე.

ფინანსური სექტორიც საკმაოდ ფრთხილი იყო და ცდილობდა თავიდან აეცილებოდა ის რისკები, რასაც შეეძლო შემდგომში ზიანი მოეტანა. ეს სისტემა ფოკუსირებული იყო, რომ თითოეულ ადამიანს მიეღო სამართალი, და არა იმისკენ რომ კარგი ადამიანები ყოფილიყვნენ.⁴ იმისათვის, რომ ეს წესი გამყარებულიყო და ისლამური სამართლის სუბიექტებს პირნათლად შეესრულებინათ ის, მისი გამოყენებისთვის ადამიანი, ასევე, ადამიანების ხელით უფრო ისჯებოდა, ვიდრე ალაჰის.⁵ ამასთან, პროცენტის განსაზღვრა ითვლებოდა ცოდვად და შარიათის კანონის წინააღმდეგ წასვლა. ყურანით პირდაპირ იყო აკრძალული მევახშეობა, „რას მოგცემს მევახშეობა, მან შეიძლება ადამიანს მოუტანოს სიმდიდრე, მაგრამ ის ამით ღმერთთან ახლოსაც კი ვერ მივა.“ სწორედ ამიტომ აიკრძალა ისლამურ სახელმწიფოებში პროცენტის განსაზღვრა და მისი გამსესხებლის სასარგებლოდ გამოყენება. მუსლიმების აზრით, ყველა სესხი რომელიც მსესხებლის მიერ გაზრდილი თანხის გადახდას მოითხოვდა იყო აკრძალული.

ისლამური საფინანსო სამართალი შეიძლება ითვალისწინებდა უპროცენტო სესხებს, მაგრამ თავსაც არ იჩაგრავდა და ცნობილი იყო კომპლექსური ტრანზაქციებით, რითაც იღებდა პროცენტის მსგავს სარგებელს. მაგალითად, ბანკს შეეძლო ეყიდა რაიმე ქონება ნაღდი ანგარიშსწორებით და შემდგომ გაეყიდა „მსესხებელზე“ უფრო დიდი თანხის სანაცვლოდ და მიეღო ის სარგებელი, რასაც ის ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულების დროს მიიღებდა. ასევე, აღსანიშნავია, ისლამური სამართლის ცნობილი ისნტიტუტები მურაჰაბა და მუშარიჟა. მურაჰაბა - მხარე ყიდულობს ქონებას და ყიდის მეორე მხარეზე გაზრდილი თანხის სანაცვლოდ და უსაზღვრავს დროს ამ თანხის გადახდისთვის. მაგალითად, თუ ადამიანს სურს სახლის შეძენა, ის თხოვს ბანკს აღნიშნულის გაკეთებას და შემდგომ ბანკს უხდის გაზრდილ თანხას შეთანხმებულ პერიოდის განმავლობაში. რაც შეეხება მუშარიჟას - ის წააგავს იმ კომპანიას, რომლის კაპიტალიც პარტნიორების მიერ იზრდება. მაგალითად, თუ ადამიანს უნდა, რომ დაიწყოს ბიზნესი, შეუძლია ჩამოაყალიბოს მუშარიჟა და შეიტანოს შენატანი 20 000-ის ოდენობით. ამასთან, ბანკიც შედის საზოგადოებაში თავისი წილი შენატანით 40 000 ათასით. ამის შემდგომ ხდება მოგების განაწილება, პროპორციის მიხედვით. უმეტეს შემთხვევაში ბანკის წილი ბევრად უფრო მეტია. მუშარიჟა ისლამური სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისნტიტუტია, რადგან არ იწვევს მხარეებს შორის დავას, მაგრამ საკმაოდ რთულია მისი ჩამოყალიბება, განსაკუთრებით არაისლამურ ქვეყნებში, რადგან ბანკების უმრავლესობა ასეთ ნაბიჯს არ დგამს.⁶ აქედან

⁴ Posner R., *Economic Analysis of the Law*, 4th ed. 1992, 23.

⁵ Roy O., *The Failure of Political Islam*, Harvard University Press, 1994, 133.

⁶ Habib A., *Islamic Banking and Shari'ah Compliance: A Product Development Perspective*, Habib Ahmed, 2014, 4-15.

გამომდნარე შეიძლება ითქვას, რომ მართალია ისლამური სამართალი პროცენტს, როგორც სესხისგან მიღებულ სარგებელს კრძალავდა, მაგრამ მას სხვა გზით იღებდა და ასე ვითარდებოდა საფინანსო სექტორიც.

ზემოაღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვანი გარემოება გვხვდება ოტომანების იმპერიაშიც, სადაც ფულის გასესხების „ბიზნესს“ ებრაელი სარაფები ეწეოდნენ. როგორც ევროპელები აღნიშნავდნენ, ოტომანების ეკონომიკა გამართულად ვერ იფუნქციონირებდა, რომ არა სარაფები, რომლებიც ხშირად იტყუებოდნენ კიდევ.

მეთექვსმეტე საუკუნეში ოტომანების სულთანმა დაადგინა საპროცენტო განაკვეთის ზღვარი, კერძოდ 11.5 %. ამ კანონის სახით იქნა მიღებული და საპროცენტო განაკვეთის აღნიშნულ მნიშვნელზე ზევით დადგენა აკრძალული იყო.

რომის სამართალში დასაბრუნებელი ვალის მოცულობა ზუსტად შეესაბამებოდა კრედიტორისგან აღებულ სესხის ოდენობას, რაც მიგვანიშნებს რომ რომის სამართალშიც უპროცენტო სესხი იყო მიღებული. პროცენტის დარიცხვა შესაძლებელი იყო მხოლოდ შესრულების ვადაგადაცილებისას. ასევე, ოტომანების მსგავსად რომის სამართალიც საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ ზღვარს ითვალისწინებდა, რასაც წარმოადგენდა 12 % წლიური პროცენტი, რაც თვეში 1 %-ს შეადგენდა. ისეთი სტიპულაცია, რომელიც უფრო მეტ პროცენტს ითვალისწინებდა, არაა იყო. იუსტინიანეს კანონმდებლობით, ქრისტიანული ზნეობის გავლენით, მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი ორჯერ შემცირდა და მხოლოდ 6%-ს შეადგენდა.⁷

რაც შეეხება საქართველოს, ზემოთხეხილებისგან განსხვავებით არ კრძალავს სარგებლის აღებას, არამედ უარყოფითად აფასებს მას. გიორგი ბრჭყინვალის ძეგლის დადებაში ვკითხულობთ :

„სარგებელი არც ქართველთ სჯულთა შიგან ძეს წესად, რომე აღიღონ, და არც სხუათა სჯულთა უწერია. და სარგებელი არის უწესო.

და თუ რადმე მიმცემი კაცი ასრე ავი იყოს, რომელ სარგებელი აღიღოს, რა გინდა რა ხანი გამოსულიყოს, ათსა თეთრ ზედა ორი თეთრი მიეცეს, რაზომი დიდი ხანი დაეყოს, ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემლად.

და თუ დია რათმე ავი კაცი არ არის, არც ამისი აღება მართებს.“

მსგავს დათქმას ასევე ვხვდებით ვახტან VI-ის სამართლის წიგნშიც, რომელიც ასევე გმობს სარგებლის აღებას მაგრამ პირდაპირ არ კრძალავს. გარდა, ამისა სარგებლის უარყოფითად შეფასება გვხვდება ასევე ბიბლიაშიც, რომლის დროსაც სასულიერო პირს ეკრძალება მევახშეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მოკვეთილ იქნებოდა სამღვდელოებიდან.

⁷ გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, თბილისი, 2013, 399.

როგორც ვხედავთ, ქართულის სამართალი ცდილობდა მოვალის მხარეს დაჭერას და ამით კანონმდებლობაში აღნიშნავდა სარგებლის ავკარგიანობას. მაგრამ, იმასაც ითვალისწინებდა, რომ კანონმდებლობით სარგებლის აკრძალვით ბოლომდე ვერ მოახერხებდა მის აღმოფხვრას, სწორედ ამიტომ აწესებს საპროცენტო განაკვეთის ზღავრს. ზემოთხსენებული მუხლი აღნიშნავს „ათსა თეთრ ზედა ორი თეთრი მიეცეს“, რაც ნიშნავს რომ ყოველ ათ თეთრზე დამატებით მოვალე გადაიხდიდა 2 თეთრს. აღნიშნული წარმოადგენდა მაქსიმალურ ზღავრს საპროცენტო განაკვეთის. ამ რეგულაციით ქართულმა სამართალმა დაიმორჩილა კრედიტორები და მათი თვითნებობაც ბევრად შეამცირა. როგორც ვიცით აკრძალული ხილი უფრო გემრიელია, ამიტომ რომ არა პროცენტის არსებობის აღიარება თუნდაც შეზღუდვით, ისევე როგორც ისლამურ სამართალში საქართველოშიც ბევრ ხრიკს მოიფიქრებდნენ და კანონის რეგულაციასაც არაფრად ჩააგდებდნენ. გარდა ამისა, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ მუხლში ნახსენებ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე, „მუხლში ნახსენები სიტყვა „სჯული“ (შჯული, რჩული, შჩული) შესაძლოა სხვადასხვაგვარად განიმარტოს: 1. როგორც კანონმდებლობა, სამართალი, 2. როგორც ხალხში გავრცელებული ჩვეულება მრწამსი, რელიგია.“⁸ მუხლის მიხედვით უნდა ითქვას რომ „სჯულში“ მოიაზრება მრწამსი და რელიგია. როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ ნათლად გამოჩნდა, რომ მსგავსი რეგულირება არა მარტო საქართველოში არამედ სხვა რელიგიის წარმომადგენელ სახელმწიფოებშიც არსებობდა. შესაბამისად, გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადების 46-ე მუხლში სჯულის ქვეშ უნდა მოვიაზროთ რელიგია და მრწამსი.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდი ყურადღება ექცეოდა ძველ დროში პროცენტის გასაზღვრასა და კანონის მიერ მის რეგულირებას. აქედან გამომდინარე, წარსული პრაქტიკის მაგალითზე დღევანდელი რეგულაციები ბევრად უფრო დახვეწილი და გამართული უნდა იყოს. ქვემოთ განვიხილოთ თუ რა ხდება თანამედროვე ეპოქაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

⁸ *აბულაძე, ი.*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, 510; ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა, ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, რუსულად თარგმნა და საძიებელი დაურთო დავით ფურცელაძემ, თბილისი, 1988, 144. იხ. *ფხოველიშვილი ნ., ომიადე გ., გვენეტაძე დ.დ., დალაქიშვილი გრ., ჭემშარიტაშვილი ლ., კუტუბიძე მ., კობერიძე ზ.*, გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება კომენტარები, 2018, მუხლი 46, 259.

თავი II. პროცენტის არსი სამოქალაქო სამართალში

1. პროცენტის ცნება და სახეები

ფულადი ვალდებულებებს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია თანამედროვე სამყაროში, როდესაც ფაქტობრივად ყველაფერი ფულთან არის დაკავშირებული და ყველაფერი მისი ექვივალენტია.

ფულადი ვალდებულების აღება ყოველთვის ფასიანია, ამიტომ ყოველთვის უნდა დავფიქრდეთ გვიღირს თუ არა პროცენტისა და ზედმეტი ხარჯების გაღება ამ ვალდებულების აღებისთვის⁹.

ფულადი ვალდებულების არსებობის დროს დომინირებული ადგილი უკავია კრედიტორს, რომელიც მოვალეს თავის პირობებს უყენებს და ზოგჯერ მისი ასეთი ქმედება ყოველგვარ ზღვარს გადადის. სწორედ ამ უკანასკნელის აღმოსაფხვრელად კანონმდებელი ცდილობს კრედიტორი საზღვრებში მოაქციოს და არ მისცეს თვითნებობისა და აშკარად შეუსაბამო პირობების მეორე მხარისთვის შეთავაზების უფლება, განსაკუთრებით მაშინ როცა არის ცვლად საპროცენტო განაკვეთთან.

საპროცენტო განაკვეთი – საკრედიტო ან სადეპოზიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფიქსირებული ან ინდექსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული პერიოდის მანძილზე.¹⁰ არსებობს როგორც ფიქსირებული ისე ცვლადი საპროცენტო განაკვეთი. ცვალებადია საპროცენტო სარგებელი, რომელიც შესაძლებელია გადაიხედოს კრედიტის გამცემის მიერ შესაბამისად, მისი წინასწარ პროგნოზირება მსესხებლისთვის რთულია. ცვალებადი საპროცენტო საგებლის შეცვლის მიზეზები შესაძლებელია სხვადასხვაგვარის იყოს. მაგალითად, პრაქტიკაში იგი დამოკიდებულია საბანკო კრედიტის გრძელვადიანობასთან, საკრედიტო აუქციონებზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის პერიოდულ ცვლილებებთან და ა.შ.¹¹ ცვლადი საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს ინდექსირებულ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული. ხოლო, რაც შეეხება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს რომელიც მოვალისთვის უფრო ხელსაყრელია და მისი წინასწარ გათვლაც არ არის რთული, ნიშნავს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც არ არის ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი. ფიქსირებული

⁹ Preston S.D., Prochaska-Cue K., Credit Advantages, Disadvantages and Common Types, University of Nebraska-Lincoln, 2007.

¹⁰ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №151/04, 2016 წლის 23 დეკემბერი - „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი „ლ“.

¹¹ *გაბისონია ზ.*, საბანკო სამართალი, თბილისი, 2015, 174.

საპროცენტო განაკვეთი მხარეების მიერ განსაზღვრულია ხელშეკრულებაში და არსებობს იმის გარანტია, რომ მისი ცვლილება არ მოხდება.

2. პროცენტზე შეთანხმება, როგორც მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების პრონციპი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ:

კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.

ხელშეკრულება პიროვნების მიერ გამოვლენილი ნების რეალიზაციის საშუალებას, ინსტრუმენტს წარმოადგენს.¹² ხელშეკრულების დადების თავისუფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია, იგი გულისხმობს უფლებას, სუბიექტმა საკუთარი ინტერესის მიხედვით დადოს ხელშეკრულება: განახორციელოს მოწვევა ოფერტზე, ოფერტი ან აქცეპტი.¹³ ხელშეკრულების დადების თავისუფლების მეორე გამოვლინება კი კონტრაქტის არჩევის თავისუფლებაა.¹⁴ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მოიცავს: ხელშეკრულების დადების თავისუფლებას, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას, ხელშეკრულების ფორმის, ტიპის განსაზღვრის თავისუფლებას და სხვა. ხელშეკრულების თავისუფლების პრონციპის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპის დაცვის მიზნით, ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის ფომები არსებობს¹⁵, მაგალითად როგორცაა ხელშეკრულების დადების იძულება, ხელშეკრულების დადების აკრძალვა და ხელშეკრულების დადების კანონით გათვალისწინებული სხვა შეზღუდვები.

¹² Enders C., Wiederin E., Rainer P., Sodan H., Der Sozialstaat in Deutschland und Europa, Peter M. Huber (Red.), De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2005, 365. იხ. *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომისამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 42.

¹³ *გელაშვილი ი.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2017, მუხლი 319, ველი 4, 2.

¹⁴ იქვე, ველი 5, 2.

¹⁵ Musielak, Grundkurs BGB, 12 Auflage, 2011, 48. იხ. ციტ. *ძლიერეიშვილი ზ.*, *ცერცვაძე გ.*, *რობაქიძე ი.*, *სვანაძე გ.*, *ცერცვაძე ლ.*, *ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 103.

ამასთან, მხარებს აქვთ თავისუფლება თავად განსაზღვრონ მათთვის მისაღები ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.¹⁶ არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.¹⁷ პროცენტი, გარდა იმისა რომ არის მოვალის მიერ კრედიტორისთვის გადახდილი სარგებელი, ამასთან წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას, რომლის განსაზღვრაც ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმების გარეშე წარმოუდგენელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მხარეებს სურთ პროცენტზე შეთანხმება. ხოლო, თუ ფულადი ვალდებულება იარსებებს სადაც მხარეები გამორიცხავენ პროცენტს ამ შემთხვევაში ის არ წარმოადგენს არსებით პირობას. არსებითი პირობები არ არის კანონში განმარტებული, რადგან ისინი მხარეთა ნებასურვილზეა დამოკიდებული.

პროცენტი ეს არის პერიოდული საზღაური კაპიტალით სარგებლობისთვის.¹⁸ პროცენტი არ იარსებებს თუ არ იქნება ფულადი ვალდებულება, რაც ნიშნავს იმას რომ საპროცენტო ვალდებულება აქცესორულია და დამატებით ვალდებულებას წარმოადგენს, ის არ არსებობს ძირითადი ვალდებულების გარეშე. გარდა ამის უნდა აღინიშნოს, რომ პროცენტის გადახდის ვალდებულება წარმოიშვება მაშინ თუ ამის შესახებ მხარეები არიან შეთანხმებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე მითითება არ იქნება მართებული. სწორედ ამიტომ, არსებობს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რომ თუ მხარეებს სურთ პროცენტის არსებობა მათ სამართლებრივ ურთიერთობაში, შეუძლიათ გაითვალისწინონ, როგორც ცვალებადი ასევე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ან/და პროცენტი ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მხარეებს ენიჭებათ ვალდებულება პროცენტი განისაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე და რომელიმე მხარეს უპირატესობა არ მიენიჭოს. რაც შეეხება საბანკო ურთიერთობებში არსებულ პროცენტს, მაშინ როცა სახეზეა კრედიტის ხელშეკრულება პროცენტის ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს.¹⁹ ასევე, თუ მხარეები ხელშეკრულების დადებისას ითვალისწინებენ ცვალებად საპროცენტო განაკვეთს, წინასწარ უნდა განსაზღვრონ საპროცენტო

¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 327, ნაწილი 1.

¹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 327, ნაწილი 2.

¹⁸ ძლიერეიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 254.

¹⁹ გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2015, 175.

განაკვეთის ზრდისა და შემცირების ზღვარი და ცვლილებათა მინიმალური შუალედი.²⁰

²⁰ გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2015, 175.

თავი III. ფულადი ვალდებულება

1. ფულადი ვალდებულება, როგორც პროცენტის არსებობის წინაპირობა

ისტორიულად, გადახდების რეგულაციები, სახელმწიფო კანონმდებლობა ფულადი ვალდებულებები, მისი შესრულების, ამ უკანასკნელის გადადების თუ დარღვევის მხრივ (განსაკუთრებით ეს ეხება პროცენტის გადახდას) ყოველთვის იყო ეროვნული კერძო სამართლის სისტემის ნაწილი. უმეტესობა სამართლებრივი რეგულაციების რეგულირებული იყო სამოქალაქო და სამეწარმეო კოდექსებში და შესაბამისად ფულადი ვალდებულებების მთავარ წყაროს, სადაც მითითებულია ფულის გადახდის ვალდებულება, წარმოადგენდა ეროვნული კანონმდებლობა. მაგრამ ეს ასე აღარ არის, დროის შეცვლასთან ერთად შეიცვალა მისი მნიშვნელობაც და განხილულ იქნა სხვადასხვაგვარად განსხვავებული პერსპექტივებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფულადი ვალდებულებების ცნება უფრო ფართოა, ვიდრე ის აღნიშნულია ეროვნულ კანონმდებლობაში. ფულადი ვალდებულებების ტრადიციული დეფინიცია განიმარტება როგორც ვალის დაფარვის მიზნით გადახდილი ფული, რაც განეკუთვნება კერძო სამართალს. თუმცა ის ფართო გაგებით ყველა ტრანზაქციას მოიცავს რომელშიც ვალუტა გამოიყენება.²¹ რთულია დაინახო ფულადი ვალდებულებების ცნება სხვა თვალით და შეძლო მისი მნიშვნელობის გაფართოვებას, პირველი რაც მისი გაგონებისას იკვეთება ეს არის ვალდებულებები რომლებიც მოიცავს ფულს.

შესაბამისად, ფულადია ვალდებულება, რომლის საგანსაც ფული წარმოადგენს, არ აქვს მნიშვნელობა მის რაოდენობას, მთავარია ურთიერთობის ობიექტი იყოს ფული ნებისმიერ ვალუტაში. ფულადი ვალდებულება არ წარმოადგენს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულებას, რადგან ეს უკანასკნელი არის ნივთის გადაცემის ვალდებულების ქვესახეობა.²² ფულად ვალდებულებად ვერ მოვიაზრებთ ვალუტის გადაცვლას, რადგან ამ შემთხვევაში ფული არის ნივთი, რომელსაც მხარეები ცვლიან შესაბამისი კურსის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ფულადი ვალდებულების ცნებას, მისი შესრულების წესს, ადგილს, ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობასა და ფულადი ვალდებულების გადახდას ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას.

²¹ *Vardi N.*, Reflections on Trends and Evolutions in the Law of Monetary Obligations in European Private Law, 18 *European Business Law Review* 3, 2007, 443.

²² *Palandt O.*, Bürgerliches Gesetzbuch, 67 Auflage, Rn 256. იხ. *ძლიერეიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელმეცრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 248.

მოკლე ისტორილი გადახვევა, ცოტა რამ ლარის შესახებ. ფული ისტორიული ძეგლი და დოკუმენტია იმისა, თუ როგორი იყო ფულის მოჭრის დროისთვის ქვეყნის განვითარება, მისი ეკონომიკა და პოლიტიკა. საქართველო როგორც ყველა სხვა დარგში ასევე ნუმიზმატიკაშიც საგრძნობლად მრავალფეროვნია და განვითარებული იყო უძველესი დროიდან. სიტყვა „ლარი“, რომელიც არის ქართული ეროვნული ვალუტის სახელწოდება, ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს ზოგადად განძს, ქონებას. სახელწოდება „ლარის“ იდეა ეკუთნის აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძეს, 1991 წელი. ლარი შედგება ასი თეთრისგან და ის წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილ ფულის ნიშანს, ქვეყნის ფულადის სისტემის ძირთად ელემენტს, რომელიც ფულადი გაზომვის ერთეულს წარმოადგენს.²³

იმისათვის რომ უკეთესად გაადვილდეს ფულადი ვალდებულებების არსის გაგება, საჭიროა იმ მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვა, რომლებიც ახასიათებს ფულად ვალდებულებებს და მათი არსებობის დროს გვერდის ავლა რთულია.

ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის. აღნიშნული ნიშნავს, რომ ფულადი ვალდებულების გადახდა უნდა მოხდეს ნომინალური პრინციპით ეროვნული ვალუტით ან უცხოური ვალუტით, თუ კი ვალუტა უცხოური ვალუტითაა განსაზღვრული ან ვალდებულება განსაზღვრული უცხოურ ვალუტასთან შესაბამისი ეროვნული ვალუტით.²⁴ უცხოური ვალუტით ანგარიშსწორებისას უცხოური ვალუტა იქნება ვალის ვალუტა, ხოლო ლარი იქნება გადახდის ვალუტა.²⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში ვკითხულობთ: *თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.*

აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ერთ-ერთ საქმეზე მიღებული უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის Nას-239-564-09 გადაწყვეტილება: მოსარჩელემ სარჩელით მიმართა ბინათმშენებლობის ამხანაგობის მიმართ, რომელშიც

²³ ნაჭყეაძე ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში. 2000-2013, 135.

²⁴ იქვე, 134.

²⁵ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 330.

გაწევრიანდა ხუთოთახიანი ბინის ბინის მისაღებად. შენატანის სახით მოსარჩელემ ამხანაგობაში შეიტანა 40 000 და 25 000 000 რუსული მანათი პერიოდულად. ბინის აშენება ვერ მოხდა და მოპასუხებ მოსარჩელეს განსხვავებული შეთავაზება გაუკეთა. მოსარჩელე გავიდა ამხანაგობიდან და მოითხოვა განხორციელებული შენატანის ეროვნულ ვალუტაში დაბრუნება. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელის მიერ. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, რაც გასაჩივრებულ იქნა საკასაციო წესით მოსარჩელის მიერ. ოროვე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაფუძვნებულია 398-ე მუხლზე. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება და დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის და აღნიშნა, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა 389-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეს აკისრია თანხის გადახდის ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს ბინის აშენება ევალებოდა. დღეისათვის კი თანხის დაბრუნების შემთხვევაში უნდა დაბრუნდეს მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხით აშენებული ფართის ღირებულების შესაბამისი თანხა. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც საჭიროა მისი ხელახალი განხილვა.²⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლის მიხედვით:

შესრულების ადგილის საექვოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფლის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით.

თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია.

ზემოთ აღნიშნული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, შესრულების ადგილის საექვოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფლის მიხედვით და იმ საბანკო ანგარიშზე რომელიც ვალდებულების შესრულები ადგილასა და შესრულების მიზნითაა შექმნილი. მაგალითად თუ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული ხელშეკრულების შესრულების

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის N ას-239-564-09 გადაწყვეტილება.

ადგილი მაგრამ მითითებულია კრედიტორის ადგილსამყოფელი და ხელშეკრულების დადების ადგილი. ვალდებულება უნდა შერულდეს კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით.

გარდა ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმოშობილი საპროცენტო ვალდებულებისა არსებობს კანონისმიერი საპროცენტო ვალდებულებებიც, რომლებიც ითვალისწინებს საპროცენტო ვალდებულების სპეციალურ შემთხვევებს და კანონი პირდაპირ არეგულირებს პროცენტის საკითხს. თემა ეხება პროცენტს, რომლის გადახდის ვალდებულებაც ვალდებულებითი სამართლის შესწავლის საგანია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ფულადი ვალდებულებების ნაწილში 2007 წელს განიცადა ცვლილება, კერძოდ ამოღებულ იქნა მუხლი 384, რომელიც ითვალისწინებდა მხარეების შეთანხმებას პროცენტის დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე. მაშინ როცა ფულადი ვალდებულება სასყიდლიანია და პროცენტის ოდენობაზე მხარეები უნდა შეთანხმებულიყვნენ, კანონი განამტკიცებდა სპეციალური ნორმატიული აქტით პროცენტის ზღვრულ ოდენობას, რასაც ვერანაირი მხარეთა შეთანხმება ვერ დაარღვევდა. აღნიშნული ნორმის საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან ამოღება, განპირობებულია პროცენტის ზღვრული ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით ცალკეული ნორმატიული აქტების არ არსებობის გამო. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლის ცვლილებამდე არსებული რედაქცია არ ადგენდა დაზუსტებით პროცენტის ფარგლებს, რაც, ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა. ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდა მსგავსი რედაქციით რადგან სამოქალაქო კოდექსი ნორმალური, სამართლიანი საპროცენტო განაკვეთის მხარეზეა.²⁷ გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა აღნიშნავს, რომ პროცენტის განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე რომ ხელშერკულების არცერთი მხარე არ იყო უპირატეს მდგომარეობაში და სარგებელი მიიღონ თანაბრად თავიანთი მიზნების შესაბამისად. დღეს, თითქმის წარმოუდგენელია მხარეებს შორის არსებული ფულადი ვალდებულება პროცენტის გარეშე. ფულად ვალდებულებაში გათვალისწინებულ პროცენტზე არსებობს არაერთი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს.

ფულადი ვალდებულებები ხასიათდება არაერთი მნიშვნელოვანი გარემოებითა და პრობემით. თითოეული პირობის დარღვევა იწვევს ფულადი ვალდებულების დარღვევას, რაც თავისმხრივ ზიანის წარმოშობის წყაროა და შესაბამის ანაზღაურებასაც საჭიროებს. გარდა ამისა, ამჟამად დავინახეთ, რომ არა ფულადი ვალდებულება პროცენტზე არ იარსებებს, რაც

²⁷ *კანტურია ლ., ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 334.

ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი სახის პროცენტის არსებობის წინაპირობას წარმოადგენს ფულადი ვალდებულებები.

2. ფულადი ვალდებულების შესრულებისა და მისი შეუსრულებლობის შედეგები

ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.²⁸ ამ ცნების თითოეული პუნქტის დაცვა ნიშნავს, რომ ვალდებულება შესრულებულია ყოველგვარი ხარვეზის გარეშე და მხარეებმა მიიღეს ის რაზეც იყვნენ შეთანხმებულები. ხოლო, თუ მოხდა ისე რომ დაირღვა რომელიმე პირობა, რაც ხელს უშლის ხელშეკრულების პირობების განხორციელებას, მაშინ აშკარაა ვალდებულების შეუსრულებლობა. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება ან შეუსრულებლობა კრედიტორს ანიჭებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება არის ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება. ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა ან შესრულების ვადის გადაცილება მოვალისათვის საფრთხის შემცველია, ვინაიდან, ფულის მაღალი ბრუნვაუნარიანობის გამო, ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანი მტკიცებას არ საჭიროებს და იგულისხმება, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების დაყოვნება კრედიტორის ყოველთვის მოუტანს ზიანს.²⁹ თუ მხარეები შეთანხმდნენ ვადიან ხელშეკრულებაზე და ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალემ არ შეასრულა ფულადი ვალდებულება, შესაძლებელია, მხარეს დაეკისროს პროცენტის გადახდაც, მაშინ როცა ის ხელშეკრულების ფარგლებში არ ასრულებს ვალდებულებას. გარდა, ამისა კანონმდებლობა იცნობს, პროცენტის გადახდას, რომელიც წარმოიშვება მხოლოდ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას. ეს უკანასკნელი გულისხმობს არა იმ პროცენტს რომელზეც მხარეების ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეთანხმდნენ, არამედ სპეციალურად ვადაგადაცილებისთვის მხარეების მიერ შეთანხმებულ პროცენტს.³⁰ ეს ნიშნავს იმას, რომ თუ მხარეები არ არიან ვადაგადაცილების პერიოდისთვის შეთანხმებულები პროცენტის გადახდაზე, მაშინ მოვალეს ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას არ დაეკისრება პროცენტის გადახდის ვალდებულება.

ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ, რა ხდება მაშინ თუ მოვალე ფულადი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულებას გადაწყვეტს. ასეთ

²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 361.

²⁹ *მესხიშვილი ქ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016, მუხლი 383, ველი 10, 5.

³⁰ *იქვე.*, ველი 12, 7.

შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, მოვალეს უფლება აქვს ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუკი პატივსადები მიზეზით კრედიტორი უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე. ამ შემთხვევაში, რატომ არის საჭირო კრედიტორის თანხმობა? ეს კანასკნელი საჭიროა, რადგან კრედიტორი ვერ იღებს იმ სარგებელს, რასაც ის ხელშეკრულების დროულად შესრულების დროს მიიღებდა. საბანკო ურთიერთობებში, კერძოდ კრედიტის ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია, კრედიტის წინსწრებით დაფარვა, რა დროსაც ხელშეკრულებაში განმტკიცებულია წინსწრების საკომისიო. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გარკვეულწილად იმ ზიანის ანზღაურებას, რასაც საბანკო ინსტიტუტი მიიღებდა, რომ არა მოვალის მიერ კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება.

გარდა ამისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე როდესაც არ შეიძლება ფულადი ვალდებულების შესრულებად მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მოვალე კრედიტორის მხრიდან მესამე პირს უხდის პროცენტს, მაშინ როცა არ არის წარმომადგენლობა. ამ დროს კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, მიიჩნევა თუ არა აღნიშნული შესრულება კრედიტორის მხრიდან შესრულებულად და ვინ უნდა ამტკიცოს ეს. აქ მნიშვნელოვანია კრედიტორის ნება, სურს თუ არა მას, რომ შესრულება მიიღოს მესამე პირმა. მაგრამ, შესაძლებელია, მოვალემ ვალდებულება შეასრულოს მესამე პირის მიმართ, რომელსაც კრედიტორის მიერ მინიჭებული ექნება უფლებამოსილება მიიღოს შესრულება, ე.ი მას წარმომადგენლობს უფლება კანონიერად უნდა ჰქონდეს მინიჭებული. კანონიერი უფლებამოსილება შეიძლება დადგინდეს ოფიციალური დოკუმენტებიდან, როგორცაა მინდობილობა, სადამფუძვნებლო დოკუმენტაცია და სხვა. ამასთან, მტკიცების ტვირთი, რომ კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულება აღარ არსებობს, ეკისრება მსესხებელს, რომელმაც უნდა გამოიყენოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.³¹ ამ უკანასკნელს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი, რომელიც განმტკიცებულია ვალდებულების შეწყვეტის ნაწილში. აღნიშნული მუხლის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გადასცეს მას ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

და ბოლოს, ფულადი ვალდებულების დარღვევისას როდესაც ხელშეკრულების ორივე მხარეს წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირები, მოვალეს ნებისმიერ შემთხვევაში ეკისრება ზიანის ანაღაურება. ამ დროს ყურადღება არ ექცევა, მიადგა თუ არა ზიანი

³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის N ას-570-541-2015 გადაწყვეტილება.

კრედიტორს. ამასთან, მნიშვნელოვანია ხელშეკრულებაში გათვალისწინებული წესი, რომელიც ეხება ვალდებულების დაფარვის რიგითობას.³²

³² ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატა, თბილისი, 2017, 84.

თავი IV. პროცენტი, როგორც მოვალის „ჯარიმა“

ვადაგადაცილებისას და როგორც სარგებელი

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი

1.1 ნორმის მიზანი, რეგულირების საგანი და სუბიექტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 403-ე მუხლის თანახმად:

მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.

ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ფულადი თანხის გადახდის ვადაგადაცილებისას დარიცხული პროცენტის ცნების გაგებისთანავე აშკარა ხდება ნორმის მიზნები და მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რომ მხარეების შეთანხმება აღნიშნულის თაობაზე აუცილებელია.³³ აღნიშნული ეხება მხოლოდ იმ ვადაგადაცილების თანხას რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით. დარღვევა ხდება მაშინ, როდესაც მხარეების მიერ შეთანხმებულ ანგარიშსწორების ვადას მოვალე გადააცილებს და არ შეასრულებს თავის ფულად ვალდებულებას.³⁴

ზემოაღნიშნული წარმოადგენს მუხლის ახალ რედაქციას, ხოლო მისი წინამორბედი ნორმის თანახმად კი მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებდა ვალდებული იყო გადაცილებული დროისათვის გადაეხადა კანონით განსაზღვრული პროცენტი თუკი კრედიტორს სხვა საფუძვიდან გამომდინარე უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. საბანკო სფეროში ხშირია შემთხვევები, სადაც ხელშეკრულებებში მითითებულია პროცენტი ვადაგადაცილებული თანხისთვის. აღნიშნული პირდაპირ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსს, რომელიც კრძალავს პროცენტის პროცენტს, რადგან ვადაგადაცილებულ თანხაში მოიაზრება, როგორც ძირი თანხა, ასევე პროცენტი და პირგასამტეხლოც. მაგრამ, ნადვილი იქნება ის თუ მხარეების მასზე შეთანხმებული და ინფორმირებულნი იქნებიან.³⁵

ამ ნორმის მიხედვით სასამართლო პრაქტიკა ერთგვაროვანი იყო და კანონით გათვალისწინებული პროცენტის ქვეშ იგულისხმებოდა ბანკთა

³³ *Hachem P.*, Agreed Sums Payable Upon Breach of an Obligation, Rethinking Penalties and Liquidated Damages Clauses, Eleven International Publishing, The Netherlands, 2011, 21.

³⁴ იქვე., 22.

³⁵ *მესხიშვილი ქ.*, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადაგადაცილებისას, (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), 17.

შორის საკრედიტო აუქციონზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი.³⁶ თავისი შინაარსით 403-ე მუხლის რედაქცია გავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 288-ე პარაგრაფს, სადაც გათვალისწინებულია ვადის გადაცილების პროცენტები. ამ უკანასკნელის მიხედვით, „ვალდებულების შეუსრულების ვადის გადაცილებისას ფულად ვალდებულებას ერიცხება პროცენტი“. ამ პროცენტს კი წარმოადგენს საბაზისო განაკვეთს დამატებული წლიური 5 პროცენტი. საბაზისო განაკვეთი კი არის გერმანიის ფედერალური ბანკის მიერ წელიწადში ორჯერ, პირველ იანვარსა და პირველ ივლისს გამოცხადებული პროცენტი.³⁷

ამასთან, აღნიშნული მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით ჩნდება კითხვა არის თუ არა მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში შეთანხმებული პროცენტი ვადაგადაცილების პროცენტი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ნორმის განმარტება არაერთგვაროვანია, რაც ასევე იწვევს სასამართლოს პრაქტიკის მრავალფეროვნებას, რადგან ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვანაირად ხდება ნორმის განმარტება. მაგრამ ერთი რამ აშკარაა, რომ არა შესრულების ვადაგადაცილება არ გვექვენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული მუხლის გამოყენების წინაპირობებია: შესასრულებელი ფულადი ვალდებულება; ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევა; მხარეთა შეთანხმება ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისთვის.³⁸

რაც შეეხება ნორმის მიზანს, ეს არის მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას მიყენებული ზიანის ანაზრაურება. ამ დროს ყურადღება არ ექცევა იმ გარემოებას კრედიტორმა მიიღო თუ არა რეალურად ზიანი. ამისთვის საკმარისია, რომ სახეზე გვქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება. უფრო რომ ჩავუღრმავდეთ მივხედვით, რომ ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება საკმარისია, რადგან ვალდებულების დროული შესრულება კრედიტორ მოუტანს იმ სარგებელს, რასაც ის გარიგებიდან ელოდა, ხოლო როცა ვალდებულება დროულად არ სრულდება კრედიტორს შეიძლება შეექმნას გარკვეული სახის პრობლემები, რამაც შესაძლებელია, და არა აუცილებელი, ხელი შეუწყოს ზიანის დადგომას.

ნომრის სუბიექტების განსაზღვრაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. მარტივად, რომ ითქვას, ნორმის სუბიექტები არიან მოვალე და კრედიტორი.

³⁶ *მესხიშვილი ქ.*, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), V გამოცემა, 2016, 13.

³⁷ *კროპკოლოერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასაწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014, § 248, 116.

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის N ას-1701-1685-2011 გადაწყვეტილება.

მაგრამ თითოეულ შემთხვევაში აუცილებელია მოხდეს მხარეების იდენტიფიცირება რადგან ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შროს განსხვავებულად რეგულირდება ცალკეული ურთიერთობა.

1.2 ნორმის მოქმედების ფარგლები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი შესაძლებელია გამოვიყენოთ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას, როდესაც სარგებელი არ ერიცხება და მეორე შემთხვევაში როდესაც არის სარგებელი კრედიტორის სასარგებლოდ, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ. პირველ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას პროცენტი არის მხოლოდ მაშინ თუ მხარეების ამაზე შეთანხმებთან, სხვა შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია ყოველგვარი შეთანხმებისა და მტკიცების ტვირთის გარეშე მოითხოვოს საანაბრე პროცენტი, როგორც მიუღებელი შემოსავალი. სხვა შემთხვევაში საჭიროებს მტკიცებას, კერძოდ, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებასა და კრედიტორისთვის შემოსავლის მიუღებლობას შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი.³⁹

რაც შეეხება პროცენტს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, როგორც არაერთხელ აღინიშნა საჭიროებს მხარეთა შეთანხმებას გარიგების დადების დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტორი ვერ მოითხოვს პროცენტის გადახდას. ამასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში საინტერესო მოსაზრებამ გაიჟღერა, კერძოდ, მხარეთა შორის დადებული სესხის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულება ძალაში შევიდოდა მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და სრულდებოდა მხარეთა უფლება-მოვალეობის ამოწურვამდე. სასამართლოს შეფასებით აღნიშნული მუხლი შეესაბამებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის დეფინიციას ვადაგადაცილებისთვის მხარეების მიერ შეთანხმებული პროცენტის გადახდის თაობაზე.⁴⁰ ასეთი განმარტებით სასამართლო მხარეს პროცენტს ახდევინებს ვალდებულების შესრულებამდეც ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, რაც აშკარად სცდება 403-ე მუხლის რეგულირების სფეროს.

საქართველოსა სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტის მოცულობა განსაზღვრული უნდა იყოს მხარეთა შეთანხმებით ან კანონით. ხოლო აღნიშნულ მუხლში არსებული

³⁹ *მესხიშვილი ქ.*, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), V გამოცემა, 2016, 16.

⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 იანვრის N ას-1162-1108-2013 გადაწყვეტილება

დათქმა, რომ კრედიტორს შეუძლია სხვა საფუძველით მოითხოვოს არ არის მართებული, რადგან მოველემ უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, საპროცენტო ზიანი, რომელიც წინასწარ დადასტურებულია.⁴¹ ასევე აღნიშნული მუხლს მეორე ნაწილით გათვალისწინებული პროცენტიდან პროცენტის დარიცხვა უმჯობესი იქნება თუ მხოლოდ ვადაგადაცილების ნორმით არ დარეგულირდება და მას მოაწერიებს ფულადი ვალდებულების თავში არსებული ნორმები.⁴²

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, აღნიშნული ნორმის საფუძველი, რის გამო არსებობს ეს მუხლი. ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია კრედიტორისთვის მიყენებული ზარალის კომპენსაცია. ე.ი ის წარმოადგენს კრედიტორის დანაკარგის კომპენსაციის მექანიზმს.⁴³ ამ პოზიციის გასამყარებლად შეიძლება გამოიკვეთოს ორი არგუმენტი, კერძოდ, კრედიტორს შეიძლება აუაზღაურდეს ის ზიანი რომლის ზოგადი ნორმებით ანაზღაურებაც შეუძლებელია და მეორე, საერთაშორისო დონეზე არსებული პრაქტიკის თანახმად მოხდეს ზიანის ანაზღაურება. ყოველივე ეს ხაზს უსვამს აღნიშნული ისინტიტუტის ადგილის დამკვიდრებას სამართლის ამ ნაწილში და კომპენსაციის ზოგად მექანიზმად აღიარებას.⁴⁴

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის რეგულირების სფეროში ექვევა არა მხოლოდ რომელიმე კონრეტული ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს დარიცხული პროცენტი, არამედ ყველა ფულადი ვალდებულებულება განურჩევლად სამართალურთიერთობისა.⁴⁵

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი

მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნას პროცენტი, ასეთ დათქმას აკეთებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს გამსესხებლის ვალდებულებებსა და პროცენტს სესხისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-626-ე მუხლები არეგულირებენ სესხის ხელშეკრულებას, რომელიც ფულადი ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი სახეა. სესხის ხელშეკრულება შეიძლება განიმარტოს შემდენაირად: ხელშეკრულებით გამსესხებელი

⁴¹ მუტჰორსტი ო., დასკვნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმასთან დაკავშირებით, ზოგადი ნაწილი და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2018 წლის დეკემბერი, 143.

⁴² იქვე., 144.

⁴³ *Hachem P.*, *Agreed Sums Payable Upon Breach of an Obligation, Rethinking Penalty and Liquidated Damages Clauses*, Eleven International Publishing, The Netherlands, 2011, 47.

⁴⁴ იქვე.,

⁴⁵ *მესხიშვილი ქ.*, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), V გამოცემა, 2016, 12.

საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია შეთანხმებულ ვადაში დააბრუნოს იმავე რაოდენობისა და ხარისხის ნივთები. სესხის ხელშეკრულება გულისხმობს, მხარეთა მიერ შეთანხმებულ იმ პირობებს, რომლებმაც განაპირობებს სესხის ხელშეკრულების დადება, რომლებიც შედგომში წარმოადგენენ ხელშეკრულების არსებით პირობებს, რაზეც მხარეები აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სესხის ხელშეკრულება დადებულიად არ ჩაითვლება. მხარეები ასევე, უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების ფორმაზე, მოქმედების ვადაზე, პროცენტზე და სხვა. ყველა ეს პირობა მხარეთა შეთანხმებისას გადაიქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, ვალდებულებებად, რომლებიც ჯეროვნად უნდა შესრულდეს.⁴⁶

როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლმა, ისე ამავე კოდექსის 625-ე მუხლმაც განიცადა არაერთი ცვლილება. ეს ცვლილებები ემსახურება სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების თანამედროვეობასთან შესაბამისობას. საქართველოში მოქმედი სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები კრედიტორის მიმართ საკმაოდ ლოიალური იყო და მას სრულ თავისუფლებას ანიჭებდა.⁴⁷ ცვლილებებით კანონმდებელს სურს, რომ დაიცვას სამართლიანობის პრინციპი და მოვალე კრედიტორთან თანაბარ პირობებში ჩააყენოს, არ ჰქონდეს ადგილი ზედმეტად მაღალ საპროცენტო განაკვეთს.

ასევე, აღსანიშნავია ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის ძველი რედაქცია ითვალისწინებდა დათქმას, რომ ბათილი იყო პროცენტზე ისეთი შეთანხმება, თუ იგი შეუსაბამო იქნებოდა ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ გონივრულ ზღვრულ ოდენობას. აღნიშნული პირობის დარღვევა ეწინააღმდეგებოდა კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს.⁴⁸ ამ დათქმის ამოღება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლიდან ემსახურება პროცენტთან დაკავშირებული ნორმების დაკონკრეტებასა და უფრო მიზანმიმართულ რეგულირების სფეროს, რათა შემდგომში არ გაჩენილიყო პასუხგაუცემელი კითხვები.

ამასთან, აღნიშნული მუხლი არ ეხება კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და არასაბანკო სადეპოზიტო

⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მაისის N ას-858-807-2010 გადაწყვეტილება.

⁴⁷ განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/129794> (ნახვის დრო: 20.05.2019)

⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ივლისის N ას-264248-2011 გადაწყვეტილება.

დაწესებულებებს - საკრედიტო კავშირებს,⁴⁹ ამ უკანასკნელმა სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლში პირდაპირ დაიმკვიდრა ადგილი, რათა დაკონკრეტებული იყოს თუ რას არეგულირებს წინამდებარე მუხლი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სესხის მარეგულირებელი ნორმები არ ვრცელდება ისეთ ხელშეკრულებებზე, როგორცაა კრედიტი, ლიზინგი, განვადება და სხვა, რადგან ასეთი სახის ხელშეკრულებები სპეციალური ნიშნებით ხასიათდება⁵⁰ და, შესაბამისად, არსებობს მისი მომწესრიგებელი უფრო კონკრეტული ნორმები. მაგრამ, როგორც სამოქალაქო კოდექსი მიგვითითებს აღნიშნული მუხლის მხოლოდ ერთი ნაწილი არ ვრცელდება ზემოთხეხებულ სუბიექტებზე, რაც იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს რომ სხვა დანარჩენი ნაწილების გამოყენება საბანკო სფეროში შესაძლებელია.

რაც შეეხება უშუალოდ პროცენტს, მართალია, 625-ე მუხლი მხარეებს ანიჭებს უფლებას შეთანხმდნენ მათთვის მისაღებ პროცენტზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ აბსოლუტურად თავისუფალი არჩევანი. კანონი საზღვრებში აქცევს პროცენტის განსაზღვრის წესებს, რათა დაცული იყოს მხარეთა თანასწორობის პრინციპი. როგორც ვიცით, რომ არა ფულადი ვალდებულების შესრულების აუცილებლობა, არ იარსებებდა პროცენტის გადახდის ვალდებულებაც, რაც ნიშნავს იმას, პროცენტის გადახდის ვალდებულება აქცესორული სახისაა და ძირითად ხელშეკრულებაზეა დამოკიდებული. ე.ი პროცენტის გადახდის ვალდებულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის საფუძველზე, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.⁵¹

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლისა და 625-ე მუხლის ურთიერთმიმართება

პროცენტი ეს არის სარგებელი, მოგება რასაც გამსესხებელი თავისი საკუთრების სხვისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემით იღებს. უფრო განსხვავებულად, პროცენტი ის ეკონომიკური მოგებაა, რისთვისაც ნივთის მესაკუთრე დროებით სარგებლობას თმობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის თანახმად სესხზე პროცენტი არსებობს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, როგორც სარგებელი და არა

⁴⁹ განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/129794> (ნახვის დრო: 20.05.2019)

⁵⁰ შოთაძე თ., იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისის უნივერსიტეტის ამომცემლობა, 2011, 86.

⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის N ას-1701-1685-2011 გადაწყვეტილება.

როგორც ვადაგადაცილების პროცენტი.⁵² მიუხედავად ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის რეგულაციების სფეროში არ ექცევა ისეთი შემთხვევა, როდესაც არის ვადაგადაცილება და ხელშეკრულების ვადაც არ არის ამოწურული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სესხის ხელშეკრულება დადებულია გარკვეული დროით, მაგრამ პერიოდული გადახდებით, მაგალითად, ყოვეთვიური გადასახადი, ძირი და პროცენტი. შესაძლებელია ფულადი ვალდებულების გადახდა დაგვიანდეს ყოველთვიურად და დაგროვდეს პროცენტი გადასახდელი, რომელშიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ოდენობა ვრცელდება.⁵³ სწორედ ეს შემთხვევა არის 625-ე მუხლის რეგულირების საგანი.

ხოლო, თუ ხელშეკრულება ვადამდე შეწყდა ან მსესხებელმა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადას გადააცილა, მაშინ გვჭირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული პროცენტი წარმოადგენს მოულებელ შემოსავალს, რომლის მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს აქვს თანხის სრულად დაბრუნებამდე. ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცენტი თავისმხრივ წარმოადგენს „ჯარიმას“, რადგან ირღვევა ხელშეკრულების ძირითადი პირობა, ვადა, და შესაბამისად ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს უნდა დაეკისროს რაიმე სანქცია. ამ უკანასკნელის როლში კი გვევლინება პროცენტი ვადაგადაცილებისთვის. 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტის ზიანად აღიარება შეფასებითია. პროცენტი არ არის ზიანის სახეობა და მასზე არ ვრცელდება ზიანის ზოგადი ნორმები. პროცენტი არის ვალდებულება მიუხედავად იმისა, კრედიტორმა აპატია თუ არა მოვალეს ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება. ვადაგადაცილების პროცენტი არის კრედიტორის უფლება და გამიზნული ნაბიჯი თავისი დანაკარგის შემცირებისთვის.⁵⁴

⁵² *მესხიშვილი ქ.*, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), V გამოცემა, 2016, 16.

⁵³ იქვე., 17.

⁵⁴ Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, prepared by Study Group on a European Civil Code and the Research Group on EC Private Law (Acquis Group), based in part on a revised version of the Principles of European Contract Law. (ნახვის დრო: 01.06.2019)

თავი V. პროცენტის როლი საბანკო სამართალურთიერთობებში

1. საბანკო-საკრედიტო სისტემისთვის პროცენტი, როგორც სარგებლის მიღების საშუალება

საბანკო-საკრედიტო სისტემა ეს არის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი ქვეყნის ფინანსური სისტემის, რომელსაც წარმოადგენს ბანკები და საკრედიტო ინსტიტუტები, რომლებიც მოქმედებენ ერთიანი ფულადი საკრედიტო მექანიზმის ფარგლებში. საბანკო სისტემა სახელმწიფოს ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც მისი განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.⁵⁵ საბანკო სისტემის სუბიექტები არიან ცენტრალური ბანკი, კომერციული ბანკი და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

ცენტრალური ბანკის როლში საქართველოში გვევლინება საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ორგანული კანონით საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს. მას უფლება აქვს, დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, დამოუკიდებლად შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება და ფლობდეს და განკარგავდეს მას, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, დამოუკიდებლად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები.⁵⁶ საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებელია თავის საქმეში და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები მის საქმიანობაში ჩარევას ვერ ახერხებენ. საქართველოს ეროვნული ბანკს გააჩნია საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი ფუნქცია, მაგალითად, როგორცაა პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, საფინანსო სექტორის ზედამხედველობა ლიცენზირება, ლიკვიდირება და სხვა.⁵⁷

კომერციული ბანკი საკრედიტო სისტემის ძირითადი მამოძრავებელი სუბიექტია. ისინი ყველა სახის საბანკო ოპერაციას ხორცილებენ. კომერციული ბანკის დაუწერელი ფუნქციებია: ანაზრის მიღება, სამრეწველო

⁵⁵ *კოვზანაძე ი., კონტრიძე გ.,* თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2014, 30

⁵⁶ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, მუხლი 1, პუნქტი 1.

⁵⁷ საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი.

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=130> შესვლის დრო: 02.06.2019

და სავაჭრო ორგანიზაციების დაკრედიტება, ანგარიშწორება და სხვა.⁵⁸ კომერციული ბანკი ეს არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.⁵⁹

არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს წარმოადგენენ ის სუბიექტები, რომლებიც განსხვავდებიან კომერციული ბანკისგან, მაგალითად, როგორებიცაა მიკროსაფინანსო კომპანია და საკრედიტო კავშირი. განსხვავებით ბანკებისგან არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების ლიცენზირების სტანდარტები სხვაგვარია, გარდა ამისა მის მიერ გასაცემ სესხებს აქვს ზღვარი, რაც ნიშნავს იმას რომ გარკვეული თანხის ზემოთ მას არ აქვს უფლება, რომ გასცეს სესხი. არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს შეუძლიათ განახორციელონ ის მოქმედებები, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, რაც იმას ნიშნავს რომ კომერციული ბანკების მსგავსად მათზეც მოქმედებს ე.წ „Numerus Clausus“ პრინციპი.⁶⁰ ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბანკებისგან განსხვავებით არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს არ აქვთ დეპოზიტების მიღების უფლება. გარდა ამისა, მათ მიერ გაცემულ სესხებზე უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთია, ვიდრე კომერციული ბანკის მიერ გაცემულ სესხზე.

რაც შეეხება საბანკო საქმიანობას, ის თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილი.⁶¹ „ბანკები იმყოფებიან ეკონომიკის „შუაგულში“ და როგორც სისხლძარღვოვანი სისტემა, უზრუნველყოფენ კავშირს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის.“⁶² კერძოდ ხაზი უნდა გაესვას საკრედიტო ურთიერთობებს, რომელიც დღეს დღეისობით საკმაოდ აქტუალურ თემას წარმოადგენს. კრედიტი არის ის რასაც ყველა იყენებს. საბანკო ხელშეკრულებების ძირითად საგანს წარმოადგენს ფული და მომსახურება ფულადი ტრანზაქციების განსახორციელებლად, უმეტეს წილად ვხვდებით კრედიტის ხელშეკრულებას, რომელსაც ბანკი თავის კლიენტს, მომხმარებელს სთავაზობს, ხოლო მომხმარებელი თავის მხრივ აბრუნებს სესხად აღებულ თანხას პროცენტთან, სარგებელთან, ერთად.⁶³

⁵⁸ *მოსიაშვილი ვ., ლომიძე გ., ქოქოსაძე გ.*, საბანკო საქმე, ლექციების კურსი, თბილისი, 2009, 13.

⁵⁹ საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, მუხლი 1, პუნქტი „ზ“.

⁶⁰ *გაბისონია ზ.*, საბანკო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, ბილისი, 2015, 117

⁶¹ *კოვზანაძე ი., კონტრიძე გ.*, თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2014, 14

⁶² იქვე, იხ. ციტ.

⁶³ *Sojeva D.*, Similarities and Differences between the Credit Contract and the Loan Contract in the Banking Law, 2018 Acta U. Danubius Jur. 25 (2018), 26.

საერთაშორისო საფინანსო ასპარეზზე ყველაზე მნიშვნელოვანია სესხი, რომელიც წარმოადგენს უძველეს საფინანსო ფორმას.⁶⁴

ყოველთვის როდესაც ვიყენებთ ტელეფონს ან ვრთავთ სინათლეს ანდა კონდიციონერს ჩვენ ვიყენებთ კრედიტს, ისევე, როგორც საკრედიტო ბარათისა და სესხის აღების დროს. კრედიტი წარმოადგენს შეთანხმებას მივიღოთ ნივთი, მომსახურება ან ფული მაშინ, როცა გვჭირდება და მათი საფასური გადავიხადოთ მომავალში. მხოლოდ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ რისთვის გამოვიყენოთ კრედიტი. მაგრამ ეს გადაწყვეტილება დამოკიდებული უნდა იყოს ჩვენს გადახდიუნარიანობაზე და არა იმაზე თუ რა გვსურს, რომ შევიძინოთ კრედიტის თანხით.⁶⁵ ეს განპირობებულია იმით რომ კრედიტის აღება ყოველთვის სასყიდლიანია, ვიღებთ ერთს და უარეს შემთხვევაში ვაბრუნებთ გაორმაგებულ თანხას. ამიტომ, სწორად უნდა შეფასდეს ღირს თუ არა რაიმე სურვილის ასრულება კრედიტის აღებად.

სანამ უშუალოდ სარგებელზე გადავითოთ იქამდე აუცილებელია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ სესხისა და კრედიტის ხელშეკრულებები. ერთი შეხედვით ეს ორი ხელშეკრულება თითქოს ერთი და იგივეა, მაგრამ მათ შორის არსებობს ბევრი განსხვავება. სესხის ხელშეკრულების მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. სესხის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც ფული, ასევე სხვა ნივთებიც. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია ხელი გაუმართოს მსესხებელს ფულით ან სხვა რაიმე ქონებით, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას დააბრუნოს ნივთი იმავე რაოდენობისა და ხარისხის. სესხის ხელშეკრულება შეიძლება მსესხებელს ავალდებულებდეს პროცენტის, სარგებლის გადახდას, მაგრამ შეიძლება მის გარეშეც არსებობდეს.⁶⁶ ამასთან, სესხის ხელშეკრულება არის არაფორმალური, რაც ნიშნავს იმას, რომ ის შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად ისე წერილობით.⁶⁷

რაც შეეხება კრედიტის ხელშეკრულებას, უნდა აღინიშნოს, რომ მისი ერთ-ერთი მხარე ანუ გამცემი ორგანო უნდა იყოს ის ფინანსური ინსტიტუტი, რომელსაც გააჩნია ეროვნული ბანკის ლიცენზია.⁶⁸ კრედიტის ხელშეკრულება არ არის მხოლოდ სახელი, ის წარმოადგენს კონსესუალურ და ფორმალურ შეთანხმებას, რადგან ის არ არის შექმნილი მხოლოდ ფულის გასესხებისთვის, არამედ ის არის კრედიტის გამცემის ვალდებულება ფული გახადოს ხელმისაწვდომი მომხმარებლისთვის. ამიტომ, ამ ხელშეკრულებას

⁶⁴ *Herrmann H.*, Law of Banking Contracts and Credit Securities, Chapter 2.

⁶⁵ *Preston S.D., Prochaska-Cue K.*, Credit Advantages, Disadvantages and Common Types, University of Nebraska-Lincoln, 2007, 1.

⁶⁶ *Sojeva D.*, Similarities and Differences between the Credit Contract and the Loan Contract in the Banking Law, 2018 Acta U. Danubius Jur. 25 (2018), 28.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ *გაბისონია ზ.*, საბანკო სამართალი, გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბილისი, 2015, 172.

გააჩნია ორმხრივი კავშირი, როგორც კრედიტის გამცემს, ისე მსესხებელს აქვთ ვალდებულებები. ამ უკანასკნელის ვალდებულება დააბრუნოს მიღებული თანხა სარგებელთან ერთად.⁶⁹

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით.⁷⁰ სასყიდლიანი კრედიტი, ანუ პროცენტის, როგორც სარგებელის გადახდა კრედიტის გამცემისთვის. ე.ი კრედიტის ხელშეკრულება ფასიანია და მისი ფასიანობობა ნიშნავს, მაგალითად, ბანკის კაპიტალით დროებით სარგებლობის სანაცვლოდ მისთვის სარგებლის გადახდას.⁷¹ სარგებელი გამოიანგარიშება წლიურად, რომლის გამოანგარიშებისთვის გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა ხარჯი პროცენტს ჩათვლით, საკომისიო გადასახადი და ყველა სხვა ფულადი ვალდებულება, რისი გადახდაც უწევს მსესხებელს და წინასწარ ცნობილია კრედიტორისთვის,⁷² რომ არა კრედიტის ხელშეკრულება მსესხებელს არ მოუწევდა მათი გადახდა.

სარგებელი - შემოსავალი, რომელსაც საკრედიტო დაწესებულება, მაგალითად, ბანკი იღებს მსესხებლისგან. ეს ნიშნავს, რომ ბანკი იღებს მოგებას გაწეული მომსახურების შედეგად. როგორც აღინიშნა საპროცენტო განაკვეთი შეიძლება იყოს როგორც ფიქსირებული, ისე ცვლადი. ამ უკანასკნელის შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი მიბმულია ინდექსზე და შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე არსებული რყევების შედეგად. მაშინ როდესაც არის ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, ურთიერთობიდან მიღებული სარგებელი არ არის მხოლოდ საკრედიტო დაწესებულების. ამ შემთხვევაში, სარგებელი იყოფა ორად და რეფინანსირების განაკვეთის პროპორციულად ნაწილდება, მაგალითად, ბანკსა და ეროვნულ ბანკს შორის. შესაბამისად, პროცენტის გადახდისას არ უნდა გავიგოთ ისე, რომ სარგებელს იღებს მხოლოდ რომელიმე ბანკი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პროცენტი არის ის სარგებელი, რომელსაც მსესხებელი უხდის საკრედიტო დაწესებულებას მისი კაპიტალით დროებითი სარგებლობის პერიოდში.

2. სარგებლის დარიცხვის პერიოდი და მისი ოდენობის განსაზღვრა

ფულადი ვალდებულების არსებობის დროს მნიშვნელოვანია განისაზღვროს სარგებლის დარიცხვის პერიოდი და მოთხოვნის

⁶⁹ Sojeva D., Similarities and Differences between the Credit Contract and the Loan Contract in the Banking Law, 2018 Acta U. Danubius Jur. 25 (2018), 31.

⁷⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 867.

⁷¹ რამიშვილი ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტს ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი, N2, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, 179.

⁷² Directive 2008/48/EC, Art. 3, para (g).

ხანდაზმულობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო არასწრად განსაზღვრავს სარგებლის დარიცხვის პერიოდს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის თანახმად, კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგადაც არ მოხდება გადახდა. შესაბამისად, სწორედ უნდა იქნას განსაზღვრული შეწყვეტის თარიღი, რის შემდეგაც გამოიანგარიშება სარგებლის რაოდენობა. ერთ-ერთი საქმეზე საკასაციო სასამართლომ ზუსტად აღნიშნულ დათქმაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტის თარიღად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი, მაშინ როცა საქმის წარმოება დაწყებული იყო ერთი წლით ადრე. შესაბამისად, ეს გახდა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების საფუძველი.⁷³

სარგებლის ოდენობის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია, ასევე, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებული დროისთვის პროცენტის დაკისრების პერიოდი. საინტერესოა, რა ხდება მაშინ როდესაც, ამ მიზეზით კრედიტორი ვადაზე ადრე წყვეტს ურთიერთობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება. ამ შემთხვევაში საყურადღებოა შემდეგი გარემოება, კრედიტორი მიიღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებელს, თუ მოვალე ვალდებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეასრულებდა. ეს ყველაფერი კი მიგვანიშნებს რომ, ვადაგადაცილებისთვის პროცენტის ანუ მიუღებელი შემსავლის გადახდა მოვალეს უნდა დაეკისროს სესხის თანხის სრულად დაბრუნებამდე. ნაკლებად მნიშვნელოვანია, სესხის ვადა და მისი შეწყვეტის დრო.⁷⁴ საპროცენტო განაკვეთი საბანკო კრედიტისათვის არის კრედიტის ფასი, რაც კრედიტით სარგებლობის გარკვეული ეტაპის დასრულებისას უნდა იყოს გადახდილი. მოვალის მიერ საპროცენტო განაკვეთის გადახდით

⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 მარტის N ას-932-882-2015 განჩინება.

⁷⁴ *მესხიშვილი ქ.*, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), V გამოცემა, 2016, 20.

ბანკი იხდის სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისას დარიცხულ პროცენტს, მაგალითად ანაბარი. ხოლო როდესაც მოვალე არაჯეროვნად ასრულებს ბანკის წინაშე ვალდებულებას, მას აქვს უფლება მოთხოვოს ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სარგებლის გადახდას არანაირი კავშირი არ აქვს ხელშეკრულების შეწყვეტასთან, რადგან საპროცენტო განაკვეთი არსებობს მხოლოდ იმ დროისთვის, როდესაც კრედიტის თანხით ბანკი არ სარგებლობს. ხოლო, თუ კრედიტის ხელშეკრულების საგანი გამსესხებელს უბრუნდება, მიუღებელი შემოსავალიც ქარწყლდება, რადგან შემოსავალი მიღებულია. თუ აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარეობს დავა, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მომენტად ჩაითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დრო.⁷⁵

აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია ვადაგადაცილებისთვის პროცენტის დაკისრების პერიოდის განსაზღვრა, რათა დაცული იყოს ყველა სამართლებრივი პრინციპი, რომელთა დარღვევის ალბათობა წინააღმდეგ შემთხვევაში საკმაოდ დიდია.

3. პროცენტის გადახდის მოთხოვნის ხანდაზმულობა

რაც შეეხება ხანდაზმულობას სასახო ურთიერთობებში, მაშინ როცა კრედიტოს ან მოვალეს სურს დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოში ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომლის თანახმადაც ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ხოლო, ხელშეკრულების შეწყვეტისთვის ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 871-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ვადებს, თუ როდის შეიძლება ხელშეკრულების შეწყვეტა. ხანდაზმულობის ვადა ყველა ქვეყანაში ერთნაირი არ არის, ზოგჯერ ხანდაზმულობის საერთო ვადა 10 წელია, ზოგჯერ ხუთი. ასევე, განსხვავებულია სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადებიც, მაგალითად, თურქეთში სახელშეკრულებო ურთიერთობაზე ხანდაზმულობის ვადაა 5 წელი, ისევე როგორც ესპანეთში, საფრანგეთში, ნიგერიასა და ჰოლანდიაში. იაპონიაში სახელშეკრულებო ხანდაზმულობა არის 10 წელი, ხოლო ირლანდიაში 6 წელი.⁷⁶ აქედან გამომდინარე თითოეული ქვეყნის პრაქტიკა განსხვავებული იქნება ერთმანეთისგან, მაგრამ ძირითადი გარემოება, რომ

⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 თებერვლის N ას-1586-1585-2011 გადაწყვეტილება.

⁷⁶[https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/15188770?transitionType=Default&contextData=\(sc.Default\)&firstPage=true&comp=pluk&bhcp=1](https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/15188770?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true&comp=pluk&bhcp=1) ნახვის დრო: 12.06.2019

ხანდაზმულობის ვადა აითვლება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან თითქმის ყველგან ერთნაირია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის ვადა ეს არის დრო, როდესაც პირს შეუძლია თავისი უფლების დაცვა. ხანდაზმულობის ვადა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მოთხოვნის უფლება არსებობს და მისი განხორციელება დამოკიდებულია მოთხოვნის უფლების მქონე პირის სურვილზე, გამოიყენებს თუ არა ის ამ უფლებას. მაშინ როდესაც ხელშეკრულებით შეთანხმებულია სესხის დაფარვა ნაწილ-ნაწილ, შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს თანხის გადახდის ვადის მომდევნო დღიდან. ხანდაზმულობის ვადის გამოთვლისას უნდა გავითვალისწინოთ თითოეული გადახდის პერიოდისთვის არსებული მოთხოვნის უფლება⁷⁷ და ხანდაზმულობის ვადის ათვლა ზემოთაღიშნული წესის შესაბამისად გამოვთვალოთ, როდესაც ცხადი გახდა მოვალის მიერ ვადის გადაცილება და შესაბამისად ხელშეკრულების პირობის დარღვევა.

რა ხდება მაშინ როდესაც სესხის ხელშეკრულება ვადამდე წყდება, ამ დროს აღარ არსებობს შესასრულებელი ვალდებულებები, მაგრამ წარმოიშვება მხარის უფლების დაცვის საფუძველი, რომელიც აითვლება ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან და გაგრძელდება სამი წელი.

შესაბამისად პროცენტის გადახდის მოთხოვნის ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან როცა, მსესხებელს უნდა შეესრულებინა ვალდებულება და არ შეასრულა, ე.ი იმ მომენტიდან როდესაც ცნობილი გახდა მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის ფაქტი.

4. პროცენტის დარიცხვის წინაპირობები ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე

როდესაც საუბარია ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებაზე, ისევ უნდა აღინიშნოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი. ნორმის სწორად განმარტებასაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა არ დადგეს არასასურველი შედეგები. აღნიშნულ ნორმასთან ერთად აუცილებლად უნდა განიმარტოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლიც, რომელიც მიგვანიშნებს, რომ სარგებელის დარიცხვა ხდება სესხით სარგებლობისთვის. აქ, სარგებელი არ ირიცხება ფულადი ვალდებულების

⁷⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 ნოემბრის N 28/2751-14 განჩინება.

შესრულებისთვის.⁷⁸ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა ზემოთხსენებულ მუხლები და განმარტა, რომ სარგებლის გადახდის ვალდებულება მხარეებს აქვთ იმ შემთხვევაში თუ ისინი შეთანხმდებიან ამის თაობაზე და მისი დარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. ვადაში დარიცხული პროცენტი არის ის სარგებელი, რომელიც გადახდილ უნდა იქნას სესხის თანხით სარგებლობისთვის.⁷⁹ შესაბამისად, არსებობს სარგებლის დარიცხვის სამართლებრივი წინაპირობა. კერძოდ, სესხის თანხის დაყოვნება იწვევს სარგებლის გადახდის ვალდებულებას, რაც კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. დაყოვნების შემთხვევაში, კრედიტორი კარგავს შემოსავალს, რომელიც მას უნდა მიეღო ვალდებულების დროულად შესრულების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა მხარის მიერ ხელშეკრულების ვადის გადაცილება. როგორც ჩანს, ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება 625-ე მუხლითა და 403 მუხლით გათვალისწინებული სარგებელი. ფულად ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას სარგებლის სახით გვევლინება პროცენტი ან პირგასამტეხლო. განსხვავება ამ ორს შორის არის რომ პროცენტის დარიცხვის დროს არ არის საჭირო ვამტკიცოდ ზიანის ანაზღაურება, მაშინ როცა პირგასამტეხლოს შემთხვევაში ზიანის არსებობის დადასტურება საჭიროა.⁸⁰ პირგასამტეხლოსა და პროცენტის პირობების ხელშეკრულებაში გათვალისწინება უზრუნველყოფს, როგორც ვადაგადაცილებული შესრულებისას შესრულების უზრუნველყოფას, ასევე, ვალდებულების დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, მათი გათვალისწინებისას აღარ არსებობს ისეთი შემთხვევები როგორცაა ზიანის

⁷⁸ ჩიტაშვილი ნ., პროცენტის დარიცხვის წინაპირობები ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე. სასესხო ვალდებულების შესრულების პირველადი ვალდებულების მოქმედების პერიოდში გადასახდელი სარგებლისა და ვადის გადაცილების შემდგომ მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პროცენტის/პირგასამტეხლოს ურთიერთმიმართება. ვადაგადაცილების შემდგომ განხორციელებული გადახდების ჩათვლა ძირითადი თანხის, ვადაგადაცილების პროცენტისა თუ მინიმალური საანაზრო პროცენტის ანგარიშში, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, 132.

⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის N ას-1701-1685-211 გადაწყვეტილება.

⁸⁰ ჩიტაშვილი ნ., პროცენტის დარიცხვის წინაპირობები ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე. სასესხო ვალდებულების შესრულების პირველადი ვალდებულების მოქმედების პერიოდში გადასახდელი სარგებლისა და ვადის გადაცილების შემდგომ მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პროცენტის/პირგასამტეხლოს ურთიერთმიმართება. ვადაგადაცილების შემდგომ განხორციელებული გადახდების ჩათვლა ძირითადი თანხის, ვადაგადაცილების პროცენტისა თუ მინიმალური საანაზრო პროცენტის ანგარიშში, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, 136.

ოდენობის განსაზღვრა ანდა ზოგიერთი სახის ზიანის გამორიცხვა და მისი გათვალისწინების დაუშვებლობა.⁸¹

ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას პროცენტის დარიცხვის მთავარი წინაპირობაა, მხარეთა შეთანხმება ამის შესახებ. მაგრამ, ეს შეთანხმება უნდა მოხდეს სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვით. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებას, მისი ანაზღაურება მოხდება საერთო წესების შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას ზემოთ ნახსენები წინაპირობების გათვალისწინებით, პროცენტი დარიცხულ უნდა იქნას ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე. როდესაც დაიფარება ძირითადი ვალდებულება, უნდა შეწყდეს პროცენტის დარიცხვა. შესაბამისად, პროცენტი მოქმედებს მხოლოდ ძირითადი ვალდებულების არსებობის პერიოდში. ხოლო მაშინ, როცა ვალდებულება ირღვევა და სახეზე არ არის შესრულების ვადაგადაცილება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლს ვერ გამოვიყენებთ და შესაბამისას ვადაგადაცილებისთვის პროცენტიც არ იქნება.

5. ვადაგადაცილების შემდგომ განხორციელებული გადახდების ჩათვლა ძირითადი თანხის ან/და ვადაგადაცილების პროცენტის ანგარიშში

ვადაგადაცილების შემდეგ ხელშეკრულების ვადის დამრღვევს ერიცხება პროცენტი, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა. მაგრამ საინტერესოა, რა ხდება მაშინ, როცა დამრღვევი გადაიხდის ძირითად თანხას ხელშეკრულების ვადის გადაცილების შემდეგ.

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მოსარჩელე ითხოვდა სარგებლის დარიცხვას კონკრეტული თარიღიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე, სასამართლომ განმარტა, რომ მხარეები არ შეთანხმებულან ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას პროცენტის გადახდაზე. ყოველივე ეს კინიშნავს, რომ ვადაგადაცილების შემდეგ განხორციელებული ფულადი თანხის გადახდა უნდა ჩაითვალოს ძირითადი თანხის ანგარიშში. ზემოთ ხსენებული მაგალითის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თუ არ არსებობს პირდაპირი შეთანხმება ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას პროცენტის დარიცხვაზე, მართებულია გადახდილი თანხის სესხის ძირითად ანგარიშში ჩათვლა, მაგრამ მხოლოდ „პრეზუმირებული მინიმალური საანაზრე პროცენტის გამოკლებით...“⁸² ხოლო მაშინ როდესაც მხარეების მიერ

⁸¹ *Campbell D.*, Remedies for International Sellers of Goods, Vol. 2, Yorkhill Law Publishing, 2009, 14.

⁸² ჩიტაშვილი ნ., პროცენტის დარიცხვის წინაპირობები ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე. სასესიო

შეთანხმებულია პროცენტის გადახდა, ვადაგადაცილების შემდეგ არსებული გადახდები, რომ ჩაითვალოს სესხის ძირითად ანგარიშში უნდა გამოიქვითოს აღნიშნული პროცენტი.⁸³

აქედან გამომდინარე, ჩაითვლება თუ არა ვადაგადაცილების შემდეგ განხორციელებული გადახდები სესხის ძირითად ანგარიშში დამოკიდებულია მხარეების შეთანხმებაზე პროცენტის დარიცხვის თაობაზე.

6. ბანკიდან მიღებული სესხის პროცენტის ზიანად შეფასება

6.1 ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

ზიანის ანაზღაურება ეს არის დარღვეული უფლების აღდგენის ინსტრუმენტი. რომელიც რამოდენიმე კრიტერიუმით ხასიათდება: „გამოსწორების ფუნქცია და პრევენციის ფუნქცია.“⁸⁴ აღნიშნული ემსახურება მიყენებული ზიანის სრულად აღმოფხვრასა და შემდგომში მსგავსი ქმედების გამორიცხვას.

ზიანის ცნება სათავეს იღებს რომის სამართლიდან. განხვავებით თანამედროვე სამართლისგან, რომელიც ოპერირებს ცნებებით ზიანი, ზარალი და სხვა, რომალული სამართალი იყენებდა ცნებას „ინტერესი“. რომალული სამართალი ზიანს ყოფდა ორ კატეგორიად: რეალური ზიანი და ხელიდან გაშვებული სარგებელი.⁸⁵ საქრათველოს სამოქალაქო კოდექსი ზიანის ცნებას არ ითვალისწინებს, თუმცა შეგვიძლია მისი განმარტება მოვიყვანოთ სხვა ქვეყნების სამართლიდან. მაგალითად, „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ზიანად მიიჩნევა ყველა ზიანი (დანაკარგი), რომელიც პირის პირად სიკეთეს მიადგა.“⁸⁶ გარდა ამისა, ბელორუსიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ზიანის ცნება მოიცავს იმ ხარჯებს, რომელიც დაზარალებულმა მხარემ გასწია ან უნდა გასწიოს დარღვეული უფლების, დანაკარგის ან დაზიანებული ქონების აღსადგენად, ასევე, მიუღებელი შემოსავალს, რომელიც პირს უნდა მიეღო ჩვეულებრივი სამოქალაქო ურთიერთობიდან, რომ არ დარღვეულიყო მისი უფლებები.⁸⁷

ვალდებულების შესრულების პირველადი ვალდებულების მოქმედების პერიოდში გადასახდელი სარგებლისა და ვადის გადაცილების შემდგომ მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პროცენტის/პირგასამტეხლოს ურთიერთმიმართება. ვადაგადაცილების შემდგომ განხორციელებული გადახდების ჩათვლა ძირითადი თანხის, ვადაგადაცილების პროცენტისა თუ მინიმალური საანაზღაურო პროცენტის ანგარიშში, საქრათველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, 131- 132.

⁸³ იქვე.

⁸⁴ რუსიაშვილი გ., საართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 408, 2017, ველი 3, 3.

⁸⁵ Малашко А.П., Понятие убытков в гражданском праве, 2003, 1.

⁸⁶ კროპოლური ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასაწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014, § 249, 118.

⁸⁷ Малашко А.П., Понятие убытков в гражданском праве, 2003, 1

ზიანი არსებობს ქონებრივი და არაქონებრივი. ქონებრივია ზიანი, რომლის დროსაც სახეზეა მატერიალური დანაკარგი, რომელიც ზიანის მიყენების შედეგად წარმოიშვა,⁸⁸ ხოლო, არაქონებრივი ზიანია „ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა, რომელიც განიცადა პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად.“⁸⁹

გერმანიის სამოქალაქო სამართლის თანახმად ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არსებობს პოზიტიური და ნეგატიური ინტერესი. პოზიტიურია შესრულების ინტერესი, რომლის დროსაც ზიანის მიმყენებელმა პირმა მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი ისე, რომ აღდგეს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო, ანუ უნდა აუნაზღაურდეს მიუღებელი შემოსავალი. ხოლო, ნეგატიურია ნდობის ინტერესი. მას ადგილი აქვს მაშინ როდესაც მხარეებს შორის შეპირებული გარიგების დადება ვერ მოხდება გარიგებისადმი დიდი ინტერესის მქონე მხარეს ამით მიაღება ზიანი. მეორე მხარე ვლადებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი და აღადგინოს ის მდგომარეობა რაც გარიგების დადების შემთხვევაში იარსებებდა.⁹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კი, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.⁹¹ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია როგორც ქონებრივი ისე არაქონებრივი ზიანის არსებობის შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა გამოხატულია, თუ არა ის რამე ფორმით ან მის გარეშე. ასევე, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.⁹² აქედან გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს საკმაოდ მოწესრიგებულ ნორემეს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ზიანის ანაზღაურებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საკმაოდ დიდი ნაწილი უკავია. ის გამოირჩევა თავისი დიდი მნიშვნელობით, რადგან უზრუნველყოფს დაზარალებული მხარის უფლებების აღდგენას. ზიანის ანაზღაურების ნორმები განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო

⁸⁸ *კეპანაშვილი ნ.*, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, 2016, 26.

⁸⁹ *დოლიძე ლ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, ჟურნალი „თეუსუ, N2 (10), 2010, 142.

⁹⁰ *კროპკოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასაწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014, § 249, 121.

⁹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 408, ნაწილი 1.

⁹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 411.

კოდექსის, როგორც ვალდებულებითი სამართლის ნაწილში, ისე კანონისმიერ-ვალდებულებით ურთიერთობების ნაწილში. ზიანის ანაზღაურების საკითხი ორივე შემთხვევაში დგება მაშინ თუ სახეზეა ბრალეულობა და მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სწორედ ამიტომ მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმციის პრინციპი.⁹³ ზიანს არსებობის შემთხვევაში უნდა ვამტკიცოთ, ზიანის არსებობა, მიზეზობრივი კავშირი და ბრალეულობა.

ზიანის გამოანგარიშების საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან „ის დაანგარიშდება ზუსტად (კონკრეტულად)“,⁹⁴ რადგან მისი გამოანგარიშება ხდება კონკრეტული შემთხვევისთვის და არა ზოგადად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 414-ე მუხლის თანახმად, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ზიანის ოდენობის დასადგენად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმაც მიუთითებს, რომ ზიანის დაანგარიშების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა ის გარემოება, რასაც შეუძლია არსებითად იმიქმედოს მის მოცულობაზე.

ზიანის ანაზღაურების ფორმებია, ნატურით რესტიტუცია და ფულადი ანაზღაურება, იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია ნატურით რესტიტუცია. ვინაიდან დაზარალებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ისე რომ აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა, მას აქვს კანონიერი საფუძველი მოითხოვოს მისი ნატურით ანაზღაურება, აღადგინოს საწყისი მდგომარეობა. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ნატურით ანაზღაურება ვერ ხდება მაშინ შესაძლებელია მისი ფულადი კომპენსაციის გზით ანაზღაურება. რესტიტუცია შეუძლებელია, თუ ნივთი განადგურდება. ასეთი შემთხვევა არსებობს მაშინ, თუ სახეზეა ინდივიუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, ხოლო თუ გვაროვნული ნივთია მაშინ ხდება მისი ჩანაცვლება.

ფულადი კომპენსაციის ნორმის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ კანონი კრედიტორს აძლევს უფლებას ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალეს მისცეს მეორე შანსი და მოსთხოვოს ფულადი კომპენსაცია რესტიტუციის სანაცვლოდ.

⁹³ ჩიტაშვილი ნ., ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობების მტკიცების ტვირთის მოცულობა და ფარგლები. ბრალეულობის პრეზუმფცია. პასუხისმგებლობის ნაგულისხმევი რისკის სფეროს განმარტება, 219; Dam C.V., European Tort Law, 2nd ed., Oxford University Press, United Kingdom, 2013, 302.

⁹⁴ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასაწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014, § 249, 121.

გარადა ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლისთვის. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს, არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესაძლებლობა განპირობებულია რამოდენიმე პირობით, კერძოდ, უშუალო მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს ზიანის გამომწვევ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, უნდა არსებობდეს უდავო ფაქტი, რომ ზიანი სახეზეა, მიუღებელი შემოსავლის სახით და ზიანი უნდა იყოს პროგნოზირებადი.⁹⁵ როდესაც ხდება მიუღებელი შემოსავლის მტკიცება, ზიანის არსებობის ფაქტი მისთვის არის აუცილებელი. ზიანი გამოხატული უნდა იყოს ეკონომიკურ ერთეულში, რათა არსებობდეს ობიექტური სახით.⁹⁶ მიუღებელი შემოსავალი შეიძლება დადგეს სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად და ის წარმოადგენს სარგებელს.⁹⁷ მასში იგულისხმება „ერთობლივი შემოსავალი ყოველგვარი გამოქვითების გარეშე.“⁹⁸

მიუღებელი შემოსავლის მტკიცებისთვის აუცილებელია, რომ არსებობდეს აშკარა ქონებრივი დანაკლისი, მისი ანაზღაურების შემთხვევაში არ მოხდეს კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება თანასწორობის პრინციპის დარღვევა.

ერთი შეხედვით, როგორც მიუღებელი შემოსავლის ბუნებიდან ჩანს, ის საკმაოდ ახლოს დგას სესხისთვის გადახდილ პროცენტთან. ეს უკანასკნელიც, ხომ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას ემსახურება, მაგრამ განსხვავება მხარეებს შორის ურთიერთობაშია. რაც შეეხება, ვადაგადაცილების პროცენტს ის წარმოადგენს ერთგავრ ზიანს, რომელიც არ მიადგებოდა გამსესხებელს მსესხებელს დროულად, რომ შეესრულებინა ფულადი ვალდებულება. რაც შეეხება, სესხის პერიოდში დარიცხულ პროცენტს, როგორც სარგებელს ზიანად ვერ შეფასდება, რადგან ის არის

⁹⁵ Swanson T.P., General Principles Governing The Recovery of Lost Profits in Contract Disputes Under Georgia Law, 2015, 2.

⁹⁶ ჩიტაშვილი ნ., მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის განსაზღვრის სამართლებრივი კრიტერიუმები. ხელშეკრულების საფუძველად განსაზღვრული სახელშეკრულებო ინტერესის განუხორციელებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი წინაპირობა. ბანკიდან მიღებული სესხის პროცენტის ზიანად შეფასების პრობლემატიკა. ფულადი ვალდებულების შესრულება. მიუღებელი შემოსავლისა და ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული შესრულებით მოვალის მიერ მიღებული სარგებლის ერთდროულად დაკმაყოფილების დასაშვებობა, 151.

⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 მარტის №ას-218-210-2013 განჩინება.

⁹⁸ იქვე.

ბანკის მომსახურებისთვის განკუთვნილი საფასური. აღნიშნული საკითხის უკეთ გაანალიზებისთვის ქვემოთ განვიხილოთ სესხისათვის გადახდილი პროცენტის ზიანად დაკვალიფიცირების საკითხი.

6.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი, როგორც სესხისათვის გადახდილი პროცენტის ზიანად დაკვალიფიცირება

ზოგადად, სესხისთვის გადახდილი პროცენტის ზიანად დაკვალიფიცირება არც თუ ისე მართებულია. როგორც უკვე აღინიშნა, ზიანის ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს ვალდებულების დარღვევა. ხოლო, სესხისთვის პროცენტის გადახდა ეს არის სესხის ანდა კრედიტის ხელშეკრულების შემადგენელი პირობა და მისი გადახდისთვის არ არის საჭირო ხელშეკრულების დარღვევა. პროცენტი გადახდილ იქნება ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაშიც. ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისას სესხის პროცენტის გადახდა თუ წარმოადგენს მხარეს ეკონომიკურ ტვირთს, არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პროცენტის გადახდას მიზანი აღარ იქნება ხელშეკრულების ინტერესების შესრულება, და შესაძლებელი იქნება პროცენტი დაკვალიფიცირდეს ზიანად. მაგრამ საინტერესოა როგორ მოხდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რაც ზიანის ანაზღაურების არსებითი შემადგენელი ნაწილია. საგულისხმოა, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაში იგულისხმება ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობა.⁹⁹

პროცენტი ზიანად შეიძლება შეფასდეს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების დროს, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლის დროს გადახდილი თანხა არ არის საკმარისი პირველადი მდგომარეობის აღსადენად. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების ინტერესი არ არის განხორციელებადი, რადგან ხელშეკრულებიდან გასვლის დროს შეუძლებელია სახელშეკრულებო ინტერესის აღდგენა, რაც თავდაპირველად იყო. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ მხარეს შეეძლო ემტკიცებინა სახელშეკრულებოს ინტერესისა და ხელშეკრულების მიზნის გაქრობა სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში. ასეთი მტკიცების არსებობისას შესაძლებელია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებისთვის გადახდილი

⁹⁹ ჩიტაშვილი ნ., მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის განსაზღვრის სამართლებრივი კრიტერიუმები. ხელშეკრულების საფუძველად განსაზღვრული სახელშეკრულებო ინტერესის განუხორციელებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი წინაპირობა. ბანკიდან მიღებული სესხის პროცენტის ზიანად შეფასების პრობლემატიკა. ფულადი ვალდებულების შესრულება. მიუღებელი შემოსავლისა და ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული შესრულებით მოვალის მიერ მიღებული სარგებლის ერთდროულად დაკმაყოფილების დასაშვებობა, 147-148.

პროცენტი შეფასდეს ზიანად. ხოლო მხარეს არ გაუმახვილებია აღნიშნულზე ყურადღება და შესაბამისად ვერ მოხდა გადახდილი პროცენტის ზიანად შეფასება.¹⁰⁰

¹⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის Nას-459-438-2015 გადაწყვეტილება.

თავი VI. პირგასამტეხლოს ცნება და მისი გადახდის ვალდებულება

1. პირგასამტეხლოს ცნება და სახეები

სამოქალაქო სამართალი იცნობს სანივთო და ვალდებულებით მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს. სანივთოს განეკუთვნება იპოთეკა და გირავნობა, ხოლო, ვალდებულებითს ბე, მოვალის გარანტია და პირგასამტეხლო.¹⁰¹ სწორედ ამ უკანასკნელზე იქნება ქვემოთ საუბარი. პრაქტიკაში პირგასამტეხლო არის ყველაზე პოპულარული სახელშეკრულებო ინსტრუმენტი შეუსრულებელი ვალდებულების შესასრულებლად. პირგასამტეხლო არის აქცესორული უფლება, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი ვალდებულების შესრულებას, რომლის გარეშეც თვითონ არ იარსებებდა. გარდა ამისა, პირგასამტეხლო ასევე პასუხისმგებლობის ზომას, რომლის მეშვეობითაც კრედიტორი მოვალეს აიძულებს შეასრულოს ვალდებულება ანუ „როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის პრევენციის მეთოდი“.¹⁰² ეს ინსტრუმენტი ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში, რადგან მისი გაფორმება და შესრულება მარტივია. იმისთვის, რომ მხარეებმა შეძლონ პირგასამტეხლოს გამოყენება საჭიროა მხოლოდ მასზე შეთანხმება და ხელშეკრულებაში განმტკიცება.¹⁰³ პირგასამტეხლოს ნორმების ხელშეკრულებაში გათვალისწინება განპირობებულია იმ დაძაბულობით, რომელიც გავრცელებულია სხვადასხვა ქვეყნების სახელშეკრულებო სამართალში.¹⁰⁴ პირგასამტეხლო ჯერ კიდევ რომის იმპერიიდან იღებს სათავეს, სადაც დადგენილი იყო პირგასამტეხლოს ნორმების შესრულება, იმ მიზნით რომ წახალისებული ყოფილიყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება.¹⁰⁵ დროთა განმავლობაში შეიცვალა საზოგადოების შეხედულებები ყველაფერზე და მათ შორის პირგასამტეხლოს მიზანზეც. შეიცვალა ძველ რომში არსებული წესები და სასამართლოს მიეცა უფლება, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემთხვევაში შეემცირებინა ის.¹⁰⁶ გარდა ამისა, შეიცვალა მხარეების მიერ მისდამი დამოკიდებულება და აქტუალური გახდა თითქმის ყველა სახის ხელშეკრულებაში, სადაც კი ფულადი ვალდებულება ფიგურირებს.

¹⁰¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის N ას-914-864-2015 გადაწყვეტილება.

¹⁰² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის N ას-1560-1463-2012 განჩინება.

¹⁰³ *Бычков А.*, Статия - Что можно обеспечить неустойкой? სტატიის გამოქვეყნების დრო: 03.06.2015, ნახვის დრო: 5.06.2019.

¹⁰⁴ *Vitkus S.*, Penalty Clauses Within Different Legal Systems , Mykolas Romeris University, Lithuania, Social Transformations in Contemporary Society, 2013, 154.

¹⁰⁵ *Zimmermann R.*, The Law of Obligations: Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996, 784.

¹⁰⁶ *Vitkus S.*, Penalty Clauses Within Different Legal Systems , Mykolas Romeris University, Lithuania, Social Transformations in Contemporary Society, 2013, 157.

ჩამოყალიბდა ერთგვაროვანი ცნება, რომელიც ქვეყნების სამართალში ერთი შინაარსისაა, დაახლოებით ისეთი როგორც საფარანგეთშია. საფარანგეთის სამოქალაქო კოდექსი პირგასამტეხლოს განმარტავს, როგორც ხელშეკრულების პირობებს, რომლის მეშვეობითაც მხარეები ითვალისწინებენ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას, რომლის მიხედვითაც მოვალე კრედიტორის სასარგებლოდ ასრულებს ვალდებულებას ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.¹⁰⁷ საქართველოშიც მსგავსი ნორმაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. როგორც ვხედავთ, პირგასამტეხლოს არსებობისთვის აუცილებელია ფულადი ვალდებულება, მისი დარღვევა და პირგასამტეხლოს შესახებ მხარეთა შეთანხმება.

არსებობს პირგასამტეხლოს მსგავსი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაც. მაგალითად, შეფასებადი პირგასამტეხლო, ანუ ის რომლის წინასწარ შეფასებაც შესაძლებელია. ეს უკანასკნელი წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის რაოდენობაც წინასწარ ზუსტად არის განსაზღვრული.¹⁰⁸ ჩვეულებრივ პირგასამტეხლოს დროს დადგენილია პროცენტული მაჩვენებელი, რადგან მისი წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, და არა ზუსტი თანხის ოდენობა. საქართველოში ასეთი სახის პირგასამტეხლოს ვერ შევხვდებით, რადგან საქართველოს კანონმდებლობა მას არ ითვალისწინებს. შესაძლებელია, სჯობს კიდევ სტანდარტულ პირგასამტეხლოს, რადგან მოვალემ წინასწარ იცის ზუსტი ოდენობა თანხის, რომელიც მას დაეკისრება ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს,¹⁰⁹ რომელიც მხოლოდ ფულადი სახისაა,¹¹⁰ მაგრამ არსებობს ასევე კანონისმიერი პირგასამტეხლოა, სადაც გარკვეულ შემთხვევაში კანონმდებელი თვითონ აწესებს ვალდებულების დარღვევისთვის განსაზღვრული რაოდენობის პირგასამტეხლოს. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საურავი და ჯარიმა. პირგასამტეხლო, როგორც ჯარიმა, არსებობს მაშინ, როცა შესრულების ნაცვლად კრედიტორი ითხოვს პირგასამტეხლოს და მას რჩება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც, ხოლო საურავია, როდესაც მხარეები ითვალისწინებენ

¹⁰⁷ *Капанетов А.Г.*, Неустойка как средство защиты прав кредитора в российском и зарубежном праве, 2005, 2.

¹⁰⁸ *Vitkus S.*, Penalty Clauses Within Different Legal Systems, Mykolas Romeris University, Lithuania, Social Transformations in Contemporary Society, 2013, 155.

¹⁰⁹ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 487.

¹¹⁰ *მესხიშვილი ქ.*, პირგასამტეხლო, (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), 1.

პირგასამტეხლოს ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას და კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს როგორც პირგასამტეხლოს გადახდა, ისე ვალდებულების შესრულება.¹¹¹

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც სახელშეკრულები და კანონისმიერს, ასევე, შეურეული სახის პირგასამტეხლოს. შერეული პირგასამტეხლოს უწოდებენ კანონიერ პირგასამტეხლოს, რომელიც გაზრდილია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ მხარეებს არ დაურღვევიათ კანონის ის იმპერატიული მოთხოვნა, რომელიც შეეხება კანონიერი პირგასამტეხლოს გაზრდის შესაძლებლობას და თუ აღნიშნულს კანონი არ კრძალავს.¹¹² გარდა ამისა არსებობს ჩასათვლელი, საჯარიმო, ალტერნატიული და ექსკლუზიური პორგასამტეხლო. ჩასათვლელია ისეთი პირგასამტეხლო რომელიც ითვლება იმ ზიანის ოდენობაში, რომელიც მოვალემ უნდა ააზნაზღაურის და შესაბამისად მცირდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.¹¹³ საჯარიმოა პირგასამტეხლო, რომელსაც მოვალე ითხოვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისგან დამოუკიდებლად.¹¹⁴ ალტერნატიული პირგასამტეხლოს დროს კრედიტორს აქვს უფლება აირჩიოს პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურებას შორის ანდა ვალდებულების შესრულება,¹¹⁵ ხოლო შეთანხმება ექსკლუზიურ პირგასამტეხლოზე გამორიცხავს კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.¹¹⁶

პირგასამტეხლო არის პირობითი ვალდებულება, რადგან ის გათვალისწინებულია შემდეგი პირობით - თუ მოვალე დაარღვევს ვალდებულებას.¹¹⁷ ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, კერძოდ კრედიტორმა მოითხოვა მოვალისგან ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება გამოწვეული იყო კლიმატური პირობებით და

¹¹¹ *ქეკელაშვილი ზ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 417, 2016, ველი 8-9, 3.

¹¹² *Мельниченко А.Е.*, Неустойка по действующему гражданскому законодательству, НИТГУ, 2017, 17.

¹¹³ *ძლიერეიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 595; *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 236; *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 495.

¹¹⁴ *Карапетов А.Г.*, Неустойка как средство защиты прав кредитора в российском и зарубежном праве, 2005, 225.

¹¹⁵ *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 238.

¹¹⁶ *Карапетов А.Г.*, Неустойка как средство защиты прав кредитора в российском и зарубежном праве, 2005, 225.

¹¹⁷ *ძლიერეიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 590.

კრედიტორის ბრალით. შესაბამისად, გამოირიცხა პირგასამტეხლოს გადახდის ნაწილში საკასაციო სარჩელის დაკმაყოფილება.¹¹⁸ როგორც ვხედავთ, აღნიშნულ საქმეში პირობას, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევას ადგილი არ ჰქონდა, რადგან მოვალის ბრალით არ მომხდარა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება. ყველაფერი ერთად კი გამორიცხავს პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებას.

როგორც უკვე აღინიშნა, პირგასამტეხლოს არსებობისთვის აუცილებელია მხარეთა შეთანხმება. მათ აქვთ თავისუფალი უფლება განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს,¹¹⁹ გარდა შემდეგი შემთხვევისა, სესხის გაცემის შემთხვევაში გამსესხებელს ეკრძალება, მის მიერ გაცემული სესხის რეფინანსირების შემთხვევაში ან სესხის მომხმარებლის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ, ამ კოდექსით დადგენილი წესით დაფარვის შემთხვევაში მომხმარებელს დააკისროს წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო ან ნებისმიერი საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად არის წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, რომელიც სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 2 პროცენტს აღემატება.¹²⁰

მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ პირგასამტეხლოს გადახდისა და ვალდებულების შესრულების ერთდროულად მოთხოვნის დაუშვებლობასა და კრედიტორისთვის ნებისმიერ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. მაგრამ, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებ, ერთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, ითვლება თუ არა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში პირგასამტეხლო. მაშინ როცა ხდება ზიანის ანაზღაურება, ეს იკავებს ვალდებულების შესრულების ადგილს და ემსახურება ხელშეკრულების შესრულებას, ისევე როგორც დადგენილი პირგასამტეხლო.¹²¹ სწორედ, ამიტომ პირგასამტეხლო და ზიანის ანაზღაურება დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისგან. პირგასამტეხლოს გათვალისწინების შემთხვევაში კრედიტორის გარდაუვალი უფლებაა მიიღოს ის, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ზიანი სახეზე. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი კრედიტორმა ამტკიცოს მიადგა თუ არა მას რაიმე სახის ზიანი. პირგასამტეხლოსგან დამოუკიდებლად კრედიტორს საერთო წესების მიხედვით შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ზიანის ანაზღაურებასა და პირგასამტეხლოს ერთად მოთხოვნა

¹¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო გავითრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის N ას-286-608-09 განჩინება.

¹¹⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 418, ნაწილი 1.

¹²⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 625, ნაწილი 8.

¹²¹ *ძლიერეიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რომაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო საპროკურორის სამართალი, თბილისი, 2014, 597.*

შესაძლებელია თუ არსებობს საჯარიმო პირგასამტეხლო, რომელსაც ბოლოს კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრებისკენ და მოვალის უმძიმეს მდგომარეობაში ჩაგდებად მივყავართ.¹²² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით პირგასამტეხლოსგან ზიანის ანაზღაურებაზე წინასწარ მხარეების მიერ შეთანხმება არ არსებობს. გარდა ერთი გამონაკლისისა, ზიანის ანაზღაურება, რომ იყოს ხელშეკრულების პირობა, მაშინ უნდა არსებობდეს მხარეების შეთანხმება პროცენტზე ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას.¹²³

პირგასამტეხლოსთვის დადგენილია წერილობითი ფორმა, რომელსაც კანონი პირდაპირ ითვალისწინებს, სხვა შემთხვევაში ის არ იარსებებს. კანონი იმპერატიულად მოითხოვს, რომ მხარეებს შორის პირგასამტეხლო წერილობითი ფორმით იყოს შეთანხმებული. ამასთან, პირგასამტეხლოს ხელშეკრულებაში გათვალწინება ხდება შემდეგი ფორმებით: „ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, კვირაზე, თვეზე, კვარტალსა თუ სხვა პერიოდზე სახელშეკრულებო ფასიდან პროცენტის სახით.“¹²⁴

აქედან გამომდინარე, პირგასამტეხლო საკმაოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალში და მისი განსაზღვრისას მხარეებს დიდი ყურადღება სჭირდებათ.

2. პირგასამტეხლოს მიმართება პროცენტთან

სამოქალაქო სამართალში ხშირია აზრთა სხვადასხვაობა პირგასამტეხლოსა და პროცენტზე. ამასთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი კვლევაა ჩატარებული და საბოლოოდ განისაზღვრა პროცენტის ორი ძირითადი მიმართულება: 1. საფასური, სხვისი ფულით სარგებლობისთვის; 2. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმა.¹²⁵ პირგასამტეხლო ნამდვილად არ არის საფასური სხვისი ფულით სარგებლობისას, მაგრამ ის არის პასუხისმგებლობის ფორმა. როგორც პროცენტის, ისე პირგასამტეხლოს შესახებ მოვალემ წინასწარ იცის და ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ ფულადი ვალდებულების ვადაგადაცილებისას აუცილებლად დაეკისრება მას ჯარიმა პირგასამტეხლოს სახით. პროცენტისგან განსხვავებით პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს, კერძოდ

¹²² *კანტურია ლ., ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 495.

¹²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის Nას-914-864-2015 გადაწყვეტილება.

¹²⁴ *ოსელიანი ნ.*, შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულები პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, სამართლის ჟურნალი N1, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 65.

¹²⁵ *Мельниченко А.Е.*, Неустойка по действующему гражданскому законодательству, НИТГУ, 2017, 61.

„სამოქალაქო სამართლებრივი სანქციების ფუნქცია აქვს,“¹²⁶ პროცენტი კი მხარეთა მიერ შეთანხმებული ვალდებულებაა.¹²⁷

პროცენტის და პირგასამტეხლოც „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“¹²⁸ ანაზღაურების სახეებია. ზიანის ანაზღაურებას ემსახურება, ისეთი შემთხვევა, როდესაც ვერც პირგასამტეხლო და ვერც პროცენტი ვერ ფარავს ზიანს სრულად, რაზეც ზიანის ზოგადი ნორმები მოქმედებს. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა, პროცენტის შემცირება კი დამოკიდებულია გარემოებებზე თუ ის კანონსაწინააღმდეგოა.¹²⁹

გარდა განსხვავებებისა, ვერ გავეცევით აშკარად გამოხატულ პროცენტისა და პირგასამტეხლოს მსგავსებას, კერძოდ, ორივე მათგანი გამოიყენება მოვალესთან მიმართებით მაშინ, როდესაც სახეზეა ვალდებულების შესრულების დარღვევა. ორივე შემთხვევაში მათი არსებობა მხარეებისთვის ცნობილია. არცერთ შემთხვევაში კრედიტორი არ არის ვალდებული ამტკიცოს მიადგა თუ არა მას ზიანი. ასევე, პროცენტსა და პირგასამტეხლოს აქვს ჩათვლითი ხასიათი ზარალთან მიმართებით.¹³⁰

აქედან გამომდინარე, აშკარაა რომ პირგასამტეხლოსა და პროცენტს ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას ბევრი მსგავსება აქვთ, მაგრამ მათ შორის არსებითად დიდი განსხვავებაა. განსხვავება მათ ბუნებაში და გამოყენების მიზნობრიობაშია.

3. პირგასამტეხლოს სამართლებრივი შედეგი და მოვალის ინტერესების დაცვა

როგორც უკვე აღინიშნა პირგასამტეხლოს სამართლებრივი შედეგი, ეს არის მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე გადახდილი შეთანხმებული თანხა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას ან ვალდებულების დარღვევისას. პირგასამტეხლოს სამართლებრივი შედეგი განსხვავდება მისი ბუნების მიხედვით. საურავის შემთხვევაში სხვა შედეგს ვიღებთ, ჯარიმის შემთხვევაში სხვას. საურავის შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვალდებულების შესრულებაც და პირგასამტეხლოს გადახდაც, ხოლო ჯარიმის შემთხვევაში თუ მოითხოვს პირგასამტეხლოს ვეღარ

¹²⁶ მესხიშვილი ქ., პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადაგადაცილებისას, (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), 16.

¹²⁷ ჭეჭელაშვილი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016, ველი 8-9, 3.

¹²⁸ მესხიშვილი ქ., პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადაგადაცილებისას, (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), 16

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ Мельниченко А.Е., Неустойка по действующему гражданскому законодательству, НИТГУ, 2017, 65

შედლებს ვალდებულების შესრულების მოთხოვნას. ზიანის ანაზღაურება ორივე შემთხვევაში დასაშვებია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მართალია მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს განსაზღვრაში, მაგრამ ეს თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს მიერ და პირგასამტეხლოს ოდენობა სამართლიანობის პრინციპის დაცვის შესაბამისად შემცირდეს. სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში მხარეების მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს კრედიტორის და მოვალის ინტერესებს,¹³¹ კერძოდ, პირგასამტეხლოს განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს „ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებითი ვალდებულების დამრღვევი ქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმეს, მოცულობას და კრედიტორისთვის წარმოქმნილი საფრთხოს ხარისხს. გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას.“¹³² გარდა ამისა, ყურადღება ექცევა მოვალის ფინანსურ მდგმარეობას, შეძლებს თუ არა ის პირგასამტეხლოს გადახდას და თავიდან აიცილებს, ისედაც უკვე დარღვეული ვალდებულების მეორედ დარღვევას. ამასთან, სასამართლოს მიერ განხილული საქმე პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით სწრაფად გადაწყვეტადია.¹³³ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მხარეების მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია შეუსაბამოდ მათალი იყოს, ამ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია შეამციროს პირგასამტეხლოს ოდენობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. სასამართლოს კონტროლი უზრუნველყოფს შეთანხმების შედარებით სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომლისთვისაც რთულად აღსაქმელია პირგასამტეხლოს არსი და მისი შედეგები.¹³⁴ სასამართლოს ეს უფლებამოსილება ემსახურება ვალდებულების დარღვევით გამოწვეული შედეგების და პირგასამტეხლოს ოდენობის შესაბამისობას.¹³⁵ თუ მხარეების მიერ სადავოდ არ არის გამხდარი

¹³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის N ას-654-620-2015 გადაწყვეტილება.

¹³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 აპრილის N ას-1199-1127-2015 გადაწყვეტილება.

¹³³ Commercial Real Estate Inv., LC v. Comcast of Utah II, LLC, N 20090847, Supreme Court of The State of Utah, 10.08.2012.

¹³⁴ მესხიშვილი ქ., პირგასამტეხლო, თეორიული ასპექტები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მესამე გამოცემა, 2014, 22.

¹³⁵ იოსელიანი ნ., შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულები პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, სამართლის ჟურნალი N1, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 62.

პირგასამტეხლოს ოდენობა, სასამართლოს არ აქვს უფლება შეამციროს ის.¹³⁶ შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ ითვლება ის, როდესაც პირგასამტეხლო საგრძნობლად მეტია ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ შედეგზე.¹³⁷ გარდა ამისა, მოვალეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ პირგასამტეხლო არის შეუსაბამოდ მაღალი.¹³⁸ სასამართლო პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებისას გადაწყვეტილებას იღებს სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონიერების პრინციპის შესაბამისად. თითოეული ეს პრინციპი იცავს არა მხოლოდ კრედიტორის, არამედ მოვალის ინტერესებსაც. პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებით სასამართლო ერევა მხარეების თავისუფალ ნებაში, რომელიც განპირობებულია საჯარო წესრიგის დაცვით. ამიტომ, სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს მოვალის დარღვევისა და პირგასამტეხლოს მოცულობის ერთმანეთთან შესაბამისობა, რათა კრედიტორის დანაკარგები ანაზღაურდეს და არ მოხდეს მისი უსაფუძვლოდ გამდიდრება.¹³⁹

მართალია, სასამართლოს ეს უფლება იცავს მოვალის ინტერესებს, მაგრამ ჩნდება კითხვა, სასამართლოს ასეთი ნაბიჯი ხომ არ უზიძვებს სხვა მოვალეებს ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისკენ. სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით განსახილველია ერთი შემთხვევა. მხარეებს შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება გარკვეული ვადით. სესხის თანხას წარმოადგენდა 20 650 ლარი და განისზღვრა წლიური 23% სარგებელი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ მოვალე დაარღვევდა გადახდის გრაფიკს, მას დაერიცხებოდა ჯარიმა 10 დოლარის ოდენობით და ამას დამატებული ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირი თანხის 1%. მოვალემ დაარღვია გადახდის გრაფიკი და ვალდებულების შესრულების ვადას გადააცილა. სასამართლომ ზემოთხსენებული წესების შესაბამისად შეაფასა ყველა გარემოება და განმარტა, რომ პირგასამტეხლოს მოცულობა შეესაბამება კანონს და უზრუნველყოფს კრედიტორის ინტერესებს მინიმალური ზიანის ანგარიშში. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ პირგასამტეხლოს შემცირება არის ერთგვარი წახალისება სხვა გადამხდელებისთვის, რომ არ შეასრულონ ფულადი ვალდებულება იმ იმედით, რომ საქმე გახდეს სადავო და სასამართლომ შეამციროს პირგასამტეხლოს ოდენობა. აღნიშნული, ხელს შეუშლის სამოქალაქო

¹³⁶ *იოსელიანი ნ.*, შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულები პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, სამართლის ჟურნალი N1, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 63.

¹³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის N ას-214-204-2016 გადაწყვეტილება.

¹³⁸ *მესხიშვილი ქ.*, პირგასამტეხლო, (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), 10

¹³⁹ *იქვე*, 9.

ბრუნვის სტაბილურობას.¹⁴⁰ ამიტომ, ყოველთვის ვერ მოხდება მოვალის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება. ხოლო, მაშინ როდესაც სასამართლოს მიერ დგინდება რომ მოვალის ინტერესები ილახება და პირგასამტეხლოს მოცულობა შეუსაბამოდ დიდია, სასამართლოს განმარტებით პირგასამტეხლო არ არის შეუზღუდავი, მისი შემცირება შესაძლებელია მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის კონკრეტული გარემოებების შეფასების შედეგად.¹⁴¹

საინტერესოა ის შემთხვევა როდესაც სასამართლოს მიერ დადასტურებულია პირგასამტეხლოს პირობები და მხარე არ ეთანხმება მას ანუ პირგასამტეხლოს არსებობას ხდის სადავოს. შესაძლებელია თუ არა ასეთ შემთხვევაში სასამართლომ არა გააუქმოს პირგასამტეხლო, არამედ იმსჯელოს მისი მოცულობის შემცირებაზე და შეამციროს კიდევ ის? ასეთ დროს, როდესაც მხარე აპელირებს პირგასამტეხლოს არსებობის უსაფუძვლობაზე ის ისთვლება შეცილებულად. მხარის მიერ პირგასამტეხლოზე შეცილება კი სასამართლოს აძრევს უფლებას იმსჯელოს მის მოცულობაზე და საჭიროების შემთხვევაში შეამციროს კიდევ ის.¹⁴²

4. პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება და მისგან გათავისუფლება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 261-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. როდესაც ირღვევა ხელშეკრულება, მას მოსდევს დამრღვევი პირის იძულება, აანაზღაუროს მეორე მხარისთვის მიყენებული ზიანი ან შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.¹⁴³ აქედან გამომდინარე, თუ მხარეების თანხმდებიან პირგასამტეხლოზე კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ვალდებულია შესაბამისად გადაიხადოს პირგასამტეხლო. სწორედ მხარებს შორის არსებული შეთანხმება ზემოთხსენებულ მუხლთან ერთად ავალდებულებს პირობის დამრღვევს პირგასამტეხლოს გადახდას.

რაც შეეხება პირგასამტეხლოს გადახდისგან გათავისუფლებას, ამასთან დაკავშირებით უმჯობესია განხილულ იქნას სასამართლო პრაქტიკა მაგალითის სახით, თუ რა შემთხვევაში შეიძლება გათავისუფლდეს ადამიანი

¹⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 აპრილის N ას-1199-1127-2015 გადაწყვეტილება.

¹⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2011 წლის 25 ნომბრის N ას-921-960-2011 გადაწყვეტილება.

¹⁴² *მესხიშვილი ქ.*, პირგასამტეხლო, (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), 11.

¹⁴³ *ძლიერეიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რომაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 53.

პირგასამტეხლოს გადახდისგან. თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო მოსამსახურეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში იყო შემდეგი სახის პირობა, რომ სამსახურის დატოვების შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურე ვალდებული იყო გადაეხადა ჯარიმა, რომელიც მოიცავდა სამინისტროს მიერ მასზე გაწეულ ხარჯებს. ამასთან, თუ სამხედრო მოსამსახურე ვერ შეძლებდა ვალდებულების დათქმულ დროში გადახდას მას დამატებით ეკისრებოდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,2 % პირგასამტეხლოს გადახდა. აღნიშნული შეთანხმება თავისი ბუნებით წარმოადგენს პირგასამტეხლოს. მაგრამ პრობლემა ამაში არ არის. საინტერესოა შემდეგი გარემოება, რომ ხელშეკრულების ამ პუნქტში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე, ჯარიმაც და საურავიც. ორივე პირგასამტეხლოს ერთოვლად გათვალისწინება მეორე მხარეს აგდებს ცუდ მდგომარეობაში. ამ დროს კი სასამართლო ვალდებულია დაიცვას მხარე უსამართლობისგან და შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, იმ გარემოებების გათვალისწინებით რაზეც ზემოთ არერთხელ ითქვა. სასამართლოს მხრიდან უნდა შეფასდეს პირგასამტეხლოსა და დარღვეული ვალდებულების შესაბამისობა. სასამართლოს განმარტებით, ჯარიმა რომელიც გულისხმობს სამხედრო მოსამსახურის მიერ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილი დროის შესაბამის ხელფასს, სავსებით არალოგიკური და შეუსაბამოა, რადგან სამხედრო მოსამსახურეს, საქმის შესწავლის შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, არ გააჩნია საკმარისი სახსრები, რომ შეძლოს ასეთი მოცულობის პირგასამტეხლოს გადახდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა უფრო რთული შემთხვევაა მეორე სახის პირგასამტეხლოსთან, რადგან უკვე არსებული ჯარიმის შეუსაბამოდ მაღალ მოცულობასთან ერთად მხარეს ეკისრება ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისთვის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ აუარესებს მის მდგომარეობას. გარდა იმისა, სასამართლოს გადაწყვეტილი აქვს პირგასამტეხლოს მოცულობის შემცირება, ის მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაზე და აღნიშნავს, რომ სამხედრო მოსამსახურისთვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთდროულად დანიშვნის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე თავისუფლდება პირგასამტეხლოს გადახდისგან. შესაბამისად სასამართლომ გააუქმა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება იმ საფუძველით, რომ ჯარიმა და საურავი ერთად შეუსაბამოდ დიდია.¹⁴⁴

გარდა ამისა, პირგასამტეხლოს გადახდისგან ხელშეკრულების დამრღვევი მხარე შეიძლება გათავისუფლდეს, თუ არ დადგინდება მხარეების მიერ მასზე

¹⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის N ბს-690-684(2კ-11) განჩინება.

შეთანხმება. ასევე, მაშინ როდესაც ხელშეკრულების დარღვევა არ არის დამრღვევის ბრალით გამოწვეული.

პირგასამტეხლოს გადახდისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით საინტერესოა სასამართლო პრაქტიკა. 2008 წლის მარტში მხარეებს შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის თარიღის ვადაგადაცილებისას ბანკს უფლება ჰქონდა მსესხებლიდან მოეთხოვა გადასახდელი თანხის 0.5 პროცენტის, როგორც პირგასამტეხლოს გადახდა. ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო, სესხის თანხის ტრანშებად გაცემა და დაკონკრეტებული იყო, რომ მსესხებლის მიერ თანხის გაცემის პირობების ჯეროვნად შერულების შესაბამისად მოხდებოდა შემდგომი ტრანშების გაცემა. გარდა ამისა, მხარეებმა გაითვალისწინეს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ფორსმაჟორული გარემოების არსებობისას წინაწარი გაფრთხილების შემთხვევაში. მსესხებლის მიერ მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის დარღვევა, კერძოდ არ მომხდარა გრაფიკის შესაბამისად ძირისა და პროცენტის გადახდა. აღნიშნული დარღვევის გამო ბანკმა მსესხებელს დაკისრა ჯარიმა. მსესხებელმა თავის მხრივ მოითხოვა პირგასამტეხლოს გადახდისგან გათავისუფლება და სესხის რესტრუქტურირაცია.¹⁴⁵ რესტრუქტურირაციის დროს ხდება არსებული ვადაგადაცილებული სესხის გადაფარვა ახალი სესხით. უფრო მათივად, ბანკი მსესხებელს აძლევს მეორე შანსს, რომ შეარულოს ნაკისრი ვალდებულება ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდის გარეშე, ამასთან მოსარჩელე აპელირებდა საომარ მდგომარეობაზე, როგორც ფორსმაჟორულ გარემოებაზე, რამაც ის ფინანსურ კრიზისში ჩააგდო. არც პირველმა და არც მეორე ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რაც მსესხებელმა საკასაციო წესით გაასაჩივრა. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დარღვევა მოხდა 2009 წლის თებერვალში და 2008 წლის საომარი მდგომარეობა ვერ შეფასდება ფორსმაჟორულ სიტუაციად, რადგან 2009 წლის თებერვლისთვის არ არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც მოვალეს პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებდა. საკასაციო სასამართლოს აღნიშნულთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულება აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ მსესხებელი წამროადგენს ინდივიდუალურ მეწარმეს და სესხის მიზნობრიობაც სამეწარმეო სამუშაოების ფინსირებას წარმოადგენდა, არ არის გასაკვირი, რომ 2008 წლის ომმა მეწარმე სუბიექტზე ფინანსური თვალსაზისრით უარყოფითად იმოქმედოს. ამიტომ, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მხარეების მიერ უნდა მხომხდარიყო შეცვლილი გარემოებების მისადაგება, მაშინ როცა

¹⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის N ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

გართულებულდა ვალდებულებუების შესრულება მხარეთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად ვადაგადიცილებულად არ ითვლება ის შესრულება რომელიც მოვალის ბრალის გარეშე დაგვიანდა. ხოლო თუ შეუძლებელია შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება ანდა მეორე მხარე წინააღმდეგია, მხარეს აქვს უფლება უარი თქვა ხელშეკრულებაზე.¹⁴⁶ აქედან გამომდინარე პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მიუღებელია და მოპასუხე უნდა გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს გადახდისგან. ვალდებულების შესრულების გართულების დაკვალიფიცირებისთვის არსებობს რამოდენიმე წინაპირობა, მაგალითად, გარემოების არსებითი ცვლილება, აღნიშნული გარემოების წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობა, შეცვლილი გარემოებების თავიდანვე არსებობის შემთვევაში ხელშეკრულების არდადება და განსხვავებულ შინაარსზე მხარეთა შეთანხმება. ამასთან, უნდა მოხდეს მხარეებს შორის შეცვლილ გარემოებებზე ინფორმირება და მიზეზობრივი კავშირი გარემოებებსა და ვალდებულების შეუსრულებლობას შორის. სასამართლომ სწორედ აღნიშნული წინაპირობების გათვალისწინებით იმსჯელა.¹⁴⁷ მიზეზობრივ კავშირს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან საყურადღებოა შესრულების და მისი შეუძლებლობის გამომწვევი გარემოებების ურთიერთ კავშირი.¹⁴⁸

როგორც ვხედავთ პირგასამტეხლოს გადახდისგან გათავისუფლება ხდება მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის შეფასებისა და მასალების გაცნობის შემდეგ. პირგასამტეხლოს გადახდისგან გათავისუფლება უზრუნველყოფს მხარეების შორის თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვას. ამკარაა, რომ პრაქტიკაში ხშირია შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს გათვალისწინება მხარეების მიერ, რაც კანონის მხრიდან, არც თუ ისე მკაცრი რეგულირების შედეგია. თუ სადაო არ ხდება ურთიერთობა, შესაძლებელია მხარე დარჩეს ისევ უთანასწორო მდგომარეობაში, მაშინ როცა არსებობს საფუძველი პირგასამტეხლოს მოცულობის შემცირების ან მისი გადახდისგან გათავისუფლების.

¹⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის N ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

¹⁴⁷ ჩიტაშვილი ნ., პირგასამტეხლოს გადახდისგან განთავისუფლება, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების პირობების მისადაგება. დამატებითი კრედიტის გაცემის დავალდებულება, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძველები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, 169.

¹⁴⁸ Liu Ch., Newman M.S. (ed.), Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 684.

თავი VII. პროცენტის გადახდა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის მიხედვით

ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2000 წლის 29 ივნისის დირექტივა 2000/35/EC პირდაპირ ითვალისწინებს ვადაგადაცილებული ვალდებულების შესრულების პირობებს საერთაშორისო სამართალში. დირექტივის მიხედვით ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება არის ხელშეკრულების დარღვევა, კერძოდ, როდესაც ირღვევავ ფულადი ვალდებულების შესრულების დრო.

ვადაგადაცილებისას პროცენტის გადახდა შეიძლება მოთხოვნილ იყოს კრედიტორის მიერ მაშინ თუ კრედიტორის მხრიდან თავისი ვალდებულება შესრულებულია, ხოლო მოვალემ გადააცილა ფულადი ვალდებულების შესრულების თარიღს.¹⁴⁹ ასეთი შემთხვევა ხელს უშლის ცალკეული ბიზნესი განვითარებას,¹⁵⁰ ამიტომ საჭიროა მისი სპეციალური რეგულირება თუნდაც საერთაშორისო დონეზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტი გადახდილ უნდა იქნას მხარეების მიერ შეთანხმებულ ვადაში. ხოლო თუ არ არის ხელშეკრულებაში განსაზღვრული, პროცენტი ავტომატურად განისაზღვრება პროცენტის გადახდის ვადა, მაგალითად, 30 დღეში იმ დღიდან როდესაც მოვალეს უნდა შეესრულებინა ვალდებულება.¹⁵¹

იმ შემთხვევაში თუ მხარე განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხდის შეთანხმებულ თანხას, მეორე მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებული თანხიდან.¹⁵² ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც არ არის ფულადი ვალდებულება გადახდილი, კრედიტორის სასარგებლოდ დაანგარიშდება ზიანი, რომელიც მას მიადგა თავისი ფულის გამოყენების შეუძლებლობის პერიოდში. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ კონვენცია, CISG (შემდგომში: კონვენცია) მსგავს შემთხვევებში განამტკიცებს კრედიტორის უფლება, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა პროცენტის გადახდით და გარკვეულ შემთხვევებში მოითხოვოს კომპენსაცია. მაგრამ, CISG-ის აღნიშნული მუხლი არ ითვალისწინებს პროცენტის ზღვრულ ოდენობას. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამავე კონვენციის მეშვიდე მუხლი, რომელიც მიგვითითებს, რომ თუ საკითხი არ არის პირდაპირ გათვალისწინებული კონვენციაში მაშინ გამოყენებადია ზოგადი პრინციპები, რომელსაც კონვენცია ემყარება. ასეთი პრინციპების არ არსებობის

¹⁴⁹ DIRECTIVE 2000/35/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 29 June 2000 on combating late payment in commercial transactions.

¹⁵⁰ იქვე.

¹⁵¹ იქვე., Art. 3.

¹⁵² United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, United Nations, New York, 2010, Art. 78, 24.

შემთხვევაში საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები. კონვენციის 78-ე მუხლი უზრუნველყოფს კრედიტორის დანაკარგის აღდგენას, რომელიც ემყარება ზოგად 74-ე მუხლს, ზიანის შესახებ ზოგად ინფორმაციაზე.

უკვე აღინიშნა, რომ კონვენცია არასრულად არეგულირებს ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას დარიცხული პროცენტის საკითხს, მეტიც ის პირდაპირ არ ითვქალისწინებს მას.¹⁵³ მიუხედავად ამისა, მას მაინც დამცველობითი ხასიათი აქვს და თავის თავში მოიაზრებს ხსენებული პროცენტს არსებობას, რაც მდგომარეობს მის მიერ მხარეთათვის თავისუფლების მინიჭებაში, შეთანხმდნენ ვადაგადაცილების პროცენტზე და შემდგომ შეცვალონ ის.¹⁵⁴ კონვენციის დამცველობითი ფუნქცია გამოიხატება მის მიერ მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების გათვალისწინებაში. კერძოდ, მოვალე არ არის ვალდებული გადაიხადოს ვადაგადაცილების პროცენტი, თუ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობა არ არის მოვალის ბრალით გამოწვეული. აღნიშნული გამომდინარეობს კონვენციის 79-ე მუხლიდან, რომელიც არეგულირებს მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს ზოგადად.¹⁵⁵

როგორც საქართველოსა და სხვა ქვეყნების შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს, ისე კონვენცია განამტკიცებს, რომ მხარეები თავისუფალნი არიან აირჩიონ პროცენტის ოდენობა. ასეთ შემთხვევაში, პროცენტის გადახდის ვალდებულება წარმოიშვება მას შემდეგ, რაც მოვალე დაარღვევს ფულადი ვალდებულების შესრულების ვადას და შეწყდება მაშინ, როცა მოვალე ბოლომდე შეასრულებს ვალდებულებას.¹⁵⁶

იმისათვის რომ საერთაშორისო პრაქტიკა უფრო მარტივად აღქმადი იყოს, უკეთესი იქნება მისი მაგალითების საფუძველზე თუ განვიხილვა.

იტალიასა და ლიხტენშტეინს შორის დადებული გრძელვადიანი ხელშეკრულება შეიცავდა ისეთ პირობას, რომლის მიხედვითაც მხარე, რომელიც ხელშეკრულების ვადაში არ შეასრულებს ფულად ვალდებულებას, მას აღარ მოეთხოვება ვალდებულების შესრულება, მაგრამ ვალდებულია ის ჩაანაცვლოს კომპენსაციით. ეს კომპენსაცია, დაგვიანებული შესრულების პროცენტი, გამოიანგარიშება ვალდებულების დარღვევიდან მისი ბოლომდე შესრულებამდე, ანუ იქამდე როდესაც მხარე დაფარავს ფულად ვალდებულებას ხელშეკრულების პირობის შესაბამისად. აღნიშნული კომპენსაცია წარმოადგენს ერთგვარ პასუხისმგებლობას ფულადი ვალდებულების ვადაგადაცილებით შესრულებისთვის, მაგრამ საერთაშორისო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მისი დაანგარიშების

¹⁵³ *Hachem P.*, *Agreed Sums Payable Upon Breach of an Obligation, Rethinking Penanlty and Liquidated Damages Clauses*, Eleven International Publishing, The Netherlands, 2011, 167.

¹⁵⁴ იქვე., 168.

¹⁵⁵ იქვე., 173.

¹⁵⁶ CISG Advisory Council Opinion No. 14, Interest Under Article 78 CISG, ნახვის დრო: 15.06.2019.

წესებს, ასევე, არ ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთის შესახებ რაიმე ინფორმაციას. უმეტესად, საერთაშორისო პრაქტიკის პრობლემა ვალუტასთან და ვადაგადაცილებისას საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებითაა, რადგან საერთაშორისო ხელშეკრულებებში გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობის სახელშეკრულებო ვალუტა. მოცემულ საქმეზე სახელშეკრულებო ვალუტა არის დოლარი, ხოლო მხარეები არიან ევროპელები. საპროცენტო განაკვეთი მიბმულია საერთაშორისო ინდექსზე LIBOR-ზე, რომელიც ცვლადია და საერთაშორისო ბირჟაზე რყევებზეა დამოკიდებული. მხარის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისთან ერთად საპროცენტო განაკვეთს დაემატა ერთი პროცენტი. საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (ICC International Court of Arbitration) განმატებით, საპროცენტო განაკვეთის ზრდაში არ იგულისხმება რევალვაცია, საპროცენტო განაკვეთის ზრდა, რადგან აღნიშნული ერთი პროცენტი წარმოადგენს სწორედ იმ კომპენსაციას, რაც ვალდებულების დამრღვევ მხარეს უნდა დაეკისროს.¹⁵⁷

იტალიასა და შვეიცარიას შორის დადებული ხელშეკრულებით ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას პროცენტი განისაზღვრა 5%. მართალია, კონვენცია არ ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების კონკრეტულ საპროცენტო განაკვეთს, მაგრამ მას განამტკიცებს 2000 წლის 29 ივნისის დირექტივა 2000/35/EC, რომლის მიხედვითაც ზღვრული საპროცენტო განაკვეთია 7%. შესაბამისად, მხარეებს შორის გათვალისწინებული პროცენტი შეესაბამება დირექტივას და გამართლებულია.¹⁵⁸

როგორც ვხედავთ იდეალურად მოწესრიგებული, არც საერთაშორისო კანონმდებლობაა, მაგრამ სხვადასხვა დირექტივები თუ კონვენციები ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან ერთიანობას, რათა მოხდეს სწორი და სამართლიანი რეგულირება ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას პროცენტის დარიცხვაზე.

¹⁵⁷ CISG Advisory Council Opinion No. 14, Interest Under Article 78 CISG, Analysis of Cases Result of Analysis of 274 Decisions Relating to Art 78 CISG, 18. ნახვის დრო: 15.06.2019.

¹⁵⁸ იქვე.,

თავი VIII. საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა და სტატისტიკური ანალიზი

დღეს დღეისობით სასესხო ურთიერთობები საკმაოდ აქტუალურია საქართველოში და არა მარტო. იქიდან გამომდინარე, რომ სასურველია ადამიანების მოთხოვნები დაკმაყოფილება, ხშირად იდგმევა ნაბიჯი, რომ ბანკიდან ან რომელიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან აღებულ იქნას სესხი და დიდი ხნის მანძილზე არსებობდეს სესხის თანხის გადახდის ვალდებულება სარგებელთან ერთად. საკითხის პოპულარობასთან ერთად სასამართლო პრაქტიკამაც იმატა. შესაბამისად, საინტერესოა რამოდენიმე მაგალითის განხილვა.

2011 წლის 3 თებერვალს მხარეებს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელმა კრედიტორისგან ისესხა 15000 აშშ დოლარი ყოველთვიური 5 %-იანი სარგებლით 3 თვის ვადით. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. მსესხებელმა პირველი გადახდის სარგებელი გადაიხადა. სესხს ხელშეკრულების დადებიდან რამოდენიმე დღეში ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და გაიზარდა სესხის თანხა 17500 აშშ დოლარამდე, შესაბამისად გაიზარდა სარგებელიც. სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენდა მხარეებს შორის დადებული სესხის ხელშეკრულება, 8 თვის სარგებლის გადახდის დაკისრება და პირგასამტეხლოს 0.3%-ის შემცირების კანონიერება. უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელშიც სესხის ვადად მიჩნეულ იყო არა 3 თვე არამედ 8 თვე, იმავე მხარეებს შორის სასესხო ურთიერთობაზე უკვე არსებული გადაწყვეტილების შესაბამისად. უზენაესმა სასამართლომ მართებულად არ მიიჩნია სააპელაციოს აღნიშნული მსჯელობა და აღნიშნა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას არ აქვს პრეიუდიციული ძალა. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო წერილზე, სადაც აღნიშნულია მსესხებლის ფულადი ვალდებულებს რაოდენობა, კერძოდ განისაზღვრა შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობა, რომელთაგან ნაწილი იყო სესხის ძირითადი თანხა და ნაწილი პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე. სააღსრულებო ფურცლიდან ირკვევა, რომ სადაო პერიოდში მსესხებელს სარგებელი არ ერიცხებოდა და მას არ უნდა დაეკისროს 8 თვის სარგებლის გადახდის ვალდებულება. სასამართლო ასევე მსჯელობს შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოზე. პირგასამტეხლოს განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხარის ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა. პირგასამტეხლოს განსაზღვრისას ყურადღება ექცევა იმ გარემოებს, რაც უკვე განხილულია პირგასამტეხლოს ნაწილში. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ

მაღალია თუ არა ეს საქმის გარემოებების შესწავლისას უნდა შეფასდეს. სასამართლომ ამ ნაწილში მიიღო გადაწყვეტილება, რომ პირგასამტეხლოს მოცულობა პროპორციულია, რადგან მაშინ როცა სესხის თანხა, გაზრდილი ოდენობა, 17500 აშშ დოლარია პირგასამტეხლოს 0.3 %-ის 0.001% პროცენტით შემცირება არ არის თანაზომიერი ერთმანეთთან. პირგასამტეხლოს ასეთი შემცირებით ის დაკარგავს თავის ფუნქციას, როგორც პასუხისმგებლობის სახე. შესაბამისდ, მხარეს უარი ეთქვა პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნაზე.¹⁵⁹

2009 წლის 30 ივლისს მხარეებს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 50000 აშშ დოლარი 3 თვის ვადით ყოვლეთვიური 5%-იანი სარგებლით. ოქტომბრის თვეში მსესხებელმა დაარღვია ვალდებულება და გარკვეული პერიოდის შემდეგ აღარ გადაუხდია არც სესხი და არც სარგებელი. მხარეებს შორის შეთანხმებული იყო, რომ თუ მოხდებოდა ფულადი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება ანდა მისი გადაუხდელობა ვალდებულების დამრღვევ მხარეს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო თანხის 0.3% ოდენობით. მოსარჩელემ მოითხოვა სესხის თანხის 5% სარგებლის გადახდა დარღვევიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე. საქალაქო სასამართლომ თანხის დაკისრებისა იპოთეკის საგნის რეალიზაციის ნაწილში დააკმაყოფილა მოსარჩელეს მოთხოვნა. მოპასუხეს დაეკისრა ძირითადი თანხისა და მისი პროცენტის გადახდის ვალდებულება და პირგასამტეხლოს გადახდა. სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა ქვემოთ ინსტანციის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა საკასაციო წესით და აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა სესხის ხელშეკრულების ვადი გაგრძელებას და ამიტომ 3 თვის გასვლის შემდეგ განხორციელებული გადახდა არ უნდა ჩაითვალოს სარგებლის დაფარვად, ის უნდა გამოაკლდეს ძირითად თანხას. ხელშეკრულება მხარეებს შორის დადებული იყო წერილობითი ფორმით და შესაბამისად მისი ვადის გაგრძელებაც ამავე ფორმით უნდა მომხდარიყო. შესაბამისად, ვადის გასვლის შემდეგ მომხდარი გადახდა უნდა ჩაითვალოს ძირითად თანხაში და პირგასამტეხლოს რაოდენობაში. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტზე რომლის მიხედვითაც მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების ვადის ერთი თვით გაგრძელება ისე რომ ხელშეკრულების ფორმის დაცვა არ იყო აუცილებელი. ამასთან, მოპასუხის მიერ გადახდილი თანხა სრულად შეესაბამება სარგებლის ოდენობას სესხის თანხის 5%-ს, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოპასუხეს მიერ გადახდილი თანხა ვადის გასვლის შემდეგ წარმოადგენს სარგებელს. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს

¹⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 იანვრის N ას-684-655-2016 გადაწყვეტილება.

სამოქალაქო კოდექსის სესხის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმაზე და განმარტავს მის ცნებაზე და მხარეების მიერ პროცენტის თაობაზე შეთანხმებაზე. სასამართლო განმარტავს რომ ვადის გასვლის შემდეგ პროცენტის გადახდის ვალდებულება არ ჩანს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლიდან და ამასთან დაკავშირებით განმარტავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლს. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ ორი მუხლით გათვალისწინებული სარგებელი განსახვადება ერთმანეთისგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით გათვალისწინებული სარგებელი არის ზიანი, რომელიც კრედიტორს მიადგა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას. აღნიშნული მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია არსებობდეს მისი წინაპირბები, რომლებიც ზემოთ ფართოდ განვიხილეთ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა მხარეების მიერ ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას პროცენტის დარიცხვის თაობაზე მხარეთა შეთანხმება. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეებს შორის ვადაგადაცილების შემთხვევაში პროცენტის შესახებ შეთანხმება არ ყოფილა და, შესაბამისად, მოპასუხისთვის ვადაგადაცილების სარგებლის დარიცხვა უსაფუძვლოა.

ამასთან სასამართლო არ იზიარებს მხარის მოთხოვნას რომ გადახდილ თანხაში რომ ჩაითვალოს პირგასამტეხლო, რაზეც მხარეებს პრეტენზია არ გამოუთქვიათ.¹⁶⁰

სასამართლო პრაქტიკის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ პროცენტის მხოლოდ ხელშეკრულების ვადაში გადახდაზე. ასეთ დროს, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ განხორციელებული ყველა გადახდით უნდა დაიფაროს სესხის ძირითადი თანხა. აღნიშნული განამტკიცებს შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ სასამართლო უშვებს მოვალის მიერ ნაწილ-ნაწილ შესრულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 378-ე მუხლის თანახმად, მოვალეს აქვს უფლება ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ, თუ ამაზე კრედიტორი თანახმაა. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სასამართლოსა და 378-ე მუხლის თანხვედრა. თუ ვადაგადაცილებისას გადახდილი თანხა უნდა მიემართოს ძირის დასაფარად, ეს ნიშნავს, რომ კრედიტორი ავტომატურად ეთანხმება ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებას, რაც ზემოთ აღნიშნულ მუხლს ამკარად ეწინააღმდეგება.¹⁶¹

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე მოითხოვდა პირგასამტეხლოს შემცირებას. საკასაციო სასამართლომ ქვემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული მოთხოვნები მთლიანად შეცვალა და

¹⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის N ას-1701-1685-2011 გადაწყვეტილება.

¹⁶¹ *მესხიშვილი ქ.*, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადაგადაცილებისას, (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), 12.

მოსარჩელეს უარი ეთქვა პირგასამტეხლოს შემცირებაზე. სასამართლოს განმარტებით მხარე ვალდებული იყო დაემტკიცებინა პირგასამტეხლოს დიდი მოცულობა, ასევე მნიშვნელოვანია მხარემ შეძლოს პირგასამტეხლოს არსის გაგება და იცოდეს ის, თუ რაზე აწერს ხელს. თუ მხარე წარმოადგენ მეწარმე სუბიექტს რომელიც იურისტების თანხლებით აწერს ხელს ხელშეკრულებას, მაშინ ივარაუდება რომ ხელმოწერა და პირობების დათანხმება მისი ნებასურვილის შედეგია, მაშინაც კი თუ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ დიდია.¹⁶²

სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რადგან მასში განხილულია სამივე ინსტანციის სასამართლოს შეფასება და მიღებული გადაწყვეტილება. უზენაესი სასამართლო სამართლიანობის და მიუკრემპობლობის პრინციპების შესაბამისად განიხილავს საქმეს და ქვემდებარი ინსტანციების სასამართლოების მიღებულ გადაწყვეტილებებს. უზენაესის პრაქტიკიდან ვიგებთ იმ ნაკლოვანებებს, რაც დაშვებულია წინამორბედ განხილვებში. სასამართლო პრაქტიკა შეიძლება იყოს ერთგავრი სამართლის წყარო და მნიშვნელოვანია სამართლებრივი ნორმების განმარტებისთვის და მათი პრაქტიკაში სწორად გამოყენებისთვის. მაგრამ, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას პრეცედენტულ სამართლად ვერ შეფასდება, რადგან ამ პრაქტიკით არ იქმნება რაიმე ახალი ნორმა.¹⁶³ მას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, შემდგომში განსახილველი დავებისთვის. საინტერესოა, აქვს თუ არა სასამართლოს ვალდებულება გაიზიაროს უკვე არსებული პრაქტიკა და იმის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა არა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დამოუკიდებლად განიხილოს და შეაფასოს საქმის არსებითი გარემოებები და ასევე შეუძლია გამოიყენოს მსგავს საქმეზე უკვე არსებული სასამართლო პრაქტიკა. როგორც ვხედავთ განხილვის საგანთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა მრავალფეროვანია და შეფასების საკითხს წარმოადგენს. თითოეულ შემთხვევაში შესაძლებელია განსხვავებული შედეგები მივიღოთ, მაგრამ, კანონის ფარგლებს მაინც ვერ გადავუხვევთ და ამით გარკვეულწილად მცირდება არჩევნის არეალი.

¹⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2018, 25; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ნოემბრის N ას-1451-1371-2017.

¹⁶³ *კიკნაველიძე კ.*, სასამართლო პრაქტიკის პრობლემები საქართველოში, („ართლმსაჯულების დიმიტაური“), 2009. ნახვის დრო: 30.06.2019.

დასკვნა

დღეს ფულადი ვალდებულებები სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი პოპულარული შემადგენელი ნაწილია. ფულადი ვალდებულებები მოცავს თითქმის ყველა მოქმედებას, რასაც დღის განმავლობაში ადამიანი ახორციელებს, ეს შეიძლება იყოს მაღაზიაში რაიმეს ყიდვა, მომსახურების მიღება თუ სხვა. ფულადი ვალდებულებების დროს მთავარ ფიგურას წარმოადგენს ფული. ამ უკანასკნელის არ არსებობა, მიუთითებს ფულადი ვალდებულების არ არსებობაზე.

კვლევის პროცესში ფართოდ იქნა განხილული ფულადი ვალდებულების ცნება და ვალდებულების დარღვევისთვის არსებული პასუხისმგებლობის ზომები. ფულადი ვალდებულების შესრულებისა და მისი შეუსრულებლობის შედეგების განხილვისას გამოჩნდა, თუ რა დროს ხდება მოვალის მიერ სწორად, კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ვალდებულების შესრულება და რა ხდება მისი დარღვევის შემთხვევაში.

ცხადია, რომ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის ან მისი არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში უპასუხოდ არ რჩება მოვალე. გაეცა პასუხი გაჩენილ კითხვას, მაგრამ რა ხდება მაშინ, თუ მოვალეს ბრალი არ მიუძღვის ფულადი ვალდებულების დარღვევაში. პასუხი მარტივია, მოვალე თავისუფლდება ფულადი ვალდებულების დარღვევისთვის განკუთვნილი და მხარეების მიერ გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომებისგან.

პროცენტის აქტუალურობა საკმაოდ კარგად გამოჩნდა წინამდებარე ნაშრომში. მის ნებისმიერ სახეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამოქალაქო სამართალში, კერძოდ სასესხო ურთიერთობებში. ნაშრომში განხილულ იქნა პროცენტის წარმოშობის ისტორია და მისი განვითარების საფეხურები, რამაც უფრო კარგად დაგვანახა თუ როგორი ძველი, მნიშვნელოვანი და საინტერესო ინსტიტუტია ის. ასევე, გამოიკვეთა მისი მრვალფეროვნება, რაც გამოიხატება სხვადასხვა ქვეყნების მიერ განსხვავებულ რეგულირებაში.

პროცენტის არსებობა დამოკიდებულია ფულად ვალდებულებაზე, რომ არა ეს ვალდებულება, არ იქნებოდა არც პროცენტი. პროცენტი ეს არის გადასახადი, რომელსაც მსესხებელი უხდის გამსესხებელს მისი თანხით სარგებლობისას. კვლევის დროს ფართოდ გამოჩნდა განსხვავება პროცენტის სახეებს შორის. ერთმანეთისგან გაიმიჯნა პროცენტი, როგორც სარგებელი და პროცენტი, როგორც ფულადი ვალდებულების ვადაგადაცილებისთვის დაკისრებული ერთგვარი „სანქცია“. კვლევის შედეგად დამტკიცდა რომ შესაძლებელია პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება, როგორც ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას დარიცხული პროცენტი. აღნიშნულთან ერთად არ გამოირიცხება ზიანის ანაზღაურება. არაერთხელ აღინიშნა, რომ პროცენტის დარიცხვაზე შეთანხმება მხარეების

უფლებამოსილებაა. ასეთი შეთანხმების არ არსებობა გამორიცხავს პროცენტიდან პროცენტის დარიცხვის შესაძლებლობას.

განხილულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე და 625-ე მუხლები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის აქტუალურობა განპირობებულია ფულადი ვალდებულებების და მისი დარღვევის შემთხვევების სიჭარბით. 403-ე მუხლიდან ჩანს, რომ მხარეები ხელშეკრულებაში უნდა შეთანხმდნენ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების პროცენტის დარიცხვაზე. ნორმის მიზანია ფულადი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ზიანი მდგომარეობს შემდეგში: კრედიტორი ვერ იღებს იმ სარგებელს, რასაც ის ვალდებულების დროულად შესრულებით მიიღებდა. პროცენტის თაობაზე შეთანხმების არ არსებობისას, მხარეებს არ აქვთ უფლება გამოიყენონ აღნიშნული სახის პროცენტი. გარდა ამისა, კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ მხოლოდ 403-ე მუხლით აღნიშნული საკითხის რეგულირება არ არის საკმარისი და საჭიროა დამატებით სხვა მუხლების უფრო ფართო რეგულირება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით განსაზღვრული პროცენტი, ეს არის ის სარგებელი, რასაც სესხის გამცემი იღებს მსესხებლისგან „განათხოვრებული“ ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის. პროცენტის, როგორც სარგებლის არსებობა ამ შემთხვევაშიც მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. მართალია კანონი მხარეებს შეთანხმების თავისუფლებას აძლევს, მაგრამ მაინც ფარგლებში ათავსებს და ეწინააღმდეგება შეუსაბამოდ მაღლი პროცენტის არსებობას, რაც ლოიალური დამოკიდებულებაა მსესხებლის მიმართ და კრედიტორს თვითნებობის საშუალებას არ აძლევს. აღნიშნული ორი მუხლის გამხოლვის შედეგად, აშკარაა რომ სესხის ხელშეკრულების ვადაში გთვალისწინებული პროცენტი არის სარგებელი და ის განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისგან.

საბანკო ურთიერთობების აქტუალურობის გამო, საინტერესოა პროცენტის როლი ამ სფეროში. აღნიშნულთან დაკავშირებით საბანკო საკრედიტო სისტემისთვის პროცენტი სარგებლის მიღების საშუალებაა. საბანკო სისტემაში კრედიტის გამცემი ვალდებულია მისცეს მსესხებელს ფულადი სახსრები მისი მოთხოვნის შესაბამისად, თუ ის აკმაყოფილებს გადასხდისუნარიანობის კრიტერიუმებს. საბანკო ურთიერთობების ხელშეკრულებებში ხშირად მითითებულია პროცენტი ვადაგადაცილებული თანხისთვის, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსს, რადგან ვადაგადაცილებული თანხა არის ძირითადი თანხა, პროცენტი და პირგასამტეხლოც. მაგრამ არსებობს მისი ნამდვილობის საფიქველი, თუ მხარეები ამაზე შეთანხმებულნი და ინფორმირებულნი იქნებიან.

ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას, პროცენტის დარიცხვა უნდა მოხდეს ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე. როდესაც დაიფარება ძირითადი ვალდებულება, უნდა შეწყდეს პროცენტის დარიცხვა. ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა ხელშეკრულების დადებისა და შეწყვეტის დროს.

საინტერესო ნაწილია ვადაგადაცილების შემდგომ განხორციელებული გადახდების ბედიც. განხილვის შედეგად გაირკვა, რომ ვადაგადაცილების შემდგომ განხორციელებული გადახდების სესხის ძირითად ანგარიშში ჩათვლის საკითხი დამოკიდებულია პროცენტის დარიცხვასთან დაკავშირებით მხარეთა შეთანხმებაზე.

არსებობს შემთხვევები, როდესაც ბანკიდან მიღებული პროცენტი ფასდება ზიანად. ნაშრომში განხილულია ზიანის ცნება, რათა მარტივი ყოფილიყო მისი არსის გაგება. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია კრედიტორის ინტერესი ვალდებულების შესრულების მიმართ. ფულადი ვალდებულებების დროს, რა თქმა უნდა ვერ მოხდება ნატურით რესტიტუცია და ხელშეკრულების პირობის დამრღვევ მხარეს დაეკისრება ფულადი კომპენსაცია. რა არის ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას დადგენილი პროცენტი თუ არა ის ზიანი, რომელიც მხარეს მიადგა ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო. აქედან გამომდინარე, ვადაგადაცილების პროცენტი გარკვეულწილად წარმოადგენს ზიანს, ხოლო პროცენტი, როგორც ბანკსა და მსესხებელს შორის არსებული სასესხო ურთიერთობის სარგებელი არ არის ზიანი. მაგრამ, პროცენტი ზიანად შეფასდება საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გასვლის დროს, როდესაც გადახდილი თანხა არ არის საკმარისი პირველადი მდგომარეობის აღსადგენად. გარდა ამისა, ზიანის ზოგადი ნორმების მოქმედება არსებობს მაშინ, როცა არც პროცენტი და არც პირგასამტეხლო არ არის საკმარისი ზიანის დაფარვისთვის.

შესაძლებელია მოვალეს ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას დაეკისროს როგორც ვადაგადაცილების პროცენტი, ასევე პირგასამტეხლო. ნაშრომში განხილულია პირგასამტეხლო, მისი ცნება და მიმართება პროცენტთან. მოყვანილია პირგასამტეხლოს სახეები და მათი გამოყენების მიზნობრიობა. განსხვავება ამ ორ ინსტიტუტს შორის მათ ბუნებასა და გამოყენების მიზნობრიობაშია. პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს, ხოლო პროცენტი კი არის მხარეთა შორის შეთანხმებული ვალდებულება. მათი არსებობისთვის არ არის აუცილებელი ზიანის არსებობის მტკიცება. კიდევ ერთ მსგავსებას წარმოადგენს შემდეგი გარემოება: შესაძლებელია შემცირდეს როგორც პირგასამტეხლოს, ასევე პროცენტის მოცულობა, თუ ის შეუსაბამოდ მაღალია, მაგრამ განსხვავება ამ

შემთხვევაშიც არის პირგასამტეხლოს შემცირება. სასამართლოს შეუძლია შეამციროს პირგასამტეხლოს მოცულობა, თუ მხარე მას სადავოდ გახდის, ხოლო პროცენტის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ის ეწინააღმდეგება კანონს.

პირგასამტეხლოს მოცულობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა პრობლემა, კერძოდ, თუ მხარემ პირგასამტეხლოს მოცულობა სადავოდ არ გახადა, არავინ არის უფლებამოსილი შეამციროს ის. ამ დროს, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უთანასწორო მდგომარეობაში რჩება და უწევს საკმაოდ დიდი მოცულობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც უფრო ამძიმებს მის მდგომარეობას. გამოსავალი არის მხოლოდ მხარეს მიერ ნებისმიერ შემთხვევაში პირგასამტეხლოს მოცულობის სადავოდ გახდომა, რაც საბოლოოდ კიდევ უფრო მეტ კითხვას ბადებს. სასამართლოსთვის საკმარისია მხარეს მიერ პირგასამტეხლოს არსებობაზე შედავებაც, რომ მან შეძლოს მასზე მსჯელობა და საჭიროების შემთხვევაში მოცულობის შემცირებაც.

შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით საკმაოდ საინტერესოა საერთაშორისო სამართლის რეგულირება ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას. აღნიშნული საკითხი არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტით რეგულირდება, რომლებიც ქმნიან ერთიანობას. საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ ძირითადი არსი ერთიდაიგივეა: ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას პროცენტის დარიცხვის წინაპირობა არის აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შეთანხმება. კონვენცია პირდაპირ, კონკრეტულად არ არეგულირებს საკითხს, მაგრამ კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მისი ზოგადი რეგულირება თავის თავში მოიაზრებს ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების პროცენტის არსებობას.

რაც შეეხება საქართველოს სასამართლო პრაქტიკას, ის ძირითადად თანასწორობის პრინციპის დაცვისკენ არის ორიენტირებული. სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით შეფასებითა და ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება განსხვავებული იყოს. ნაშრომში განხილულია არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომლებიც საშუალებას იძლევა საკითხი უკეთ გაანალიზდეს და დანახულ იქნას პრობლემები, რომელთაც მხარეები აწყდებიან სასესხო ურთიერთობის დროს. გამოიკვეთა, ის სამართლებრივი ბერკეტები, რომელიც მისცემს უთანასწორო მდგომარეობაში მყოფ მხარეს საკუთარი უფლების დაცვის საშუალებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის მიზანი, საკითხის უკეთ შესწავლის, ხარვეზების გამოკვეთის და აღმოფხვრის შესახებ, ფულადი

ვალდებულებების, პროცენტისა და სხვა ზემოთაღნიშნულ თემებთან დაკავშირებით, მიღწეულია.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

აბულაძე, ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973 წ.

ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატა, თბილისი, 2017 წ.

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/news-biznes-davebi.pdf>

გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2015 წ.

გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, თბილისი, 2013 წ.

დოლიძე ლ., არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, ჟურნალი „თეუსუ, N2 (10), 2010 წ.

იოსელიანი ნ., შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულები პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, სამართლის ჟურნალი N1, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016 წ.

https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/samartlis%20Jurnali%20%202016.1.pdf

კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2014 წ.

კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასაწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014 წ.

მესხიშვილი ქ., ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), V გამოცემა, 2016 წ.

მესხიშვილი ქ., პირგასამტეხლო, თეორიული ასპექტები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მესამე გამოცემა, 2014 წ.

http://www.library.court.ge/upload/biznes_samarTlis_minxilva_2014.pdf

მესხიშვილი ქ., პირგასამტეხლო, (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა)

მესხიშვილი ქ., პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადაგადაცილებისას, (თეორია და სასამართლო პრაქტიკა).

მუტკორსტი ო., დასკვნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმასთან დაკავშირებით, ზოგადი ნაწილი და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, დეკემბერი 2018 წ.

მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ., საბანკო საქმე, ლექციების კურსი, თბილისი, 2009 წ.

ნაჭყეპია ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2000-2013 წწ.

პეპანაშვილი ნ., სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, 2016 წ.

რამიშვილი ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძოსამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტს ხელშეკრულებაში, სამართლის ჟურნალი, N2, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2018 წ.

სურგულაძე ნ., ისლამური სამართლის საკითხები, ლექციების კურსი II (საკულტო წესები, სანივთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი), თბილისი, 2005 წ.

ფხოველიშვილი ნ., ომიაძე გ., გვენეტაძე დ.დ., დალაქიშვილი გრ., ჭემშირიტაშვილი ლ., კუტუბიძე მ., კობერიძე ზ., გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება კომენტარები, 2018 წ.

შოთაძე თ., იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011 წ.

ჩიტაშვილი ნ., ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობების მტკიცების ტვირთის მოცულობა და ფარგლები. ბრალეულობის პრეზუმფცია. პასუხისმგებლობის ნაგულისხმევი რისკის სფეროს განმარტება.

ჩიტაშვილი ნ., მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის განსაზღვრის სამართლებრივი კრიტერიუმები. ხელშეკრულების საფუძვლად განსაზღვრული სახელშეკრულებო ინტერესის განუხორციელებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი წინაპირობა. ბანკიდან მიღებული სესხის პროცენტის ზიანად შეფასების პრობლემატიკა.

ფულადი ვალდებულების შესრულება. მიუღებელი შემოსავლისა და ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული შესრულებით მოვალის მიერ მიღებული სარგებლის ერთდროულად დაკმაყოფილების დასაშვებობა.

ჩიტაშვილი ნ., პირგასამტეხლოს გადახდისგან განთავისუფლება, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების პირობების მისადაგება. დამატებითი კრედიტის გაცემის დავალდებულება, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძველები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

ჩიტაშვილი ნ., პროცენტის დარიცხვის წინაპირობები ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე. სასესხო ვალდებულების შესრულების პირველადი ვალდებულების მოქმედების პერიოდში გადასახდელი სარგებლისა და ვადის გადაცილების შემდგომ მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პროცენტის/პირგასამტეხლოს ურთიერთმიმართება. ვადაგადაცილების შემდგომ განხორციელებული გადახდების ჩათვლა ძირითადი თანხის, ვადაგადაცილების პროცენტისა თუ მინიმალური საანაბრო პროცენტის ანგარიშში, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძველები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

ძლიერეიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014 წ.

ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001 წ.

ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომისამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016 წ.

Campbell D., Remedies for International Sellers of Goods, Vol. 2, Yorkhill Law Publishing, 2009 y.

El-Gamal, Mahmoud A. Interest and paradox of Contemporary Islamic Law and Finance, Fordham

Enders C., Wiederin E., Rainer P., Sodan H., Der Sozialstaat in Deutschland und Europa, Peter M. Huber (Red.), De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2005 y.

European Tort Law, 2nd ed., Oxford University Press, United Kingdom, 2013 y.

Habib A. Islamic Banking and Shari'ah Compliance: A Product Development Perspective, Habib Ahmed, 2014 y.

Hachem P., Agreed Sums Payable Upon Breach of an Obligation, Rethinking Penalty and Liquidated Damages Clauses, Eleven International Publishing, The Netherlands, 2011 y.

Herrmann H., Law of Banking Contracts and Credit Securities, Chapter 2.
<http://nwir.de/archiv/NWIR15/Chapter%202.pdf>

Liu Ch., Newman M.S. (ed.), Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007 y.

Musielak, Grundkurs BGB, 12 Auflage, 2011 y.

Palandt O., Bürgerliches Gesetzbuch, 67 Auflage, Rn 256

Posner R., Economic Analysis of the Law, 4th ed. 1992 y.

Preston S.D., Prochaska-Cue K., Credit Advantages, Disadvantages and Common Types, University of Nebraska-Lincoln, 2007 y.

Roy O., The Failure of Political Islam, Harvard University Press, 1994 y.

Sojeva D., Similarities and Differences between the Credit Contract and the Loan Contract in the Banking Law, 2018 Acta U. Danubius Jur. 25, 2018 y.

Swanson T.P., General Principles Governing The Recovery of Lost Profits in Contract Disputes Under Georgia Law, 2015 y.

Vardi N., Reflections on Trends and Evolutions in the Law of Monetary Obligations in European Private Law, 18 European Business Law Review 3, 2007 y.

Vitkus S., Penalty Clauses Within Different Legal Systems , Mykolas Romeris University, Lithuania, Social Transformations in Contemporary Society, 2013 y.

Zimmermann R., The Law of Obligations: Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996 y.

Карпетов А.Г., Неустойка как средство защиты прав кредитора в российском и зарубежном праве, 2005 г.

Малашко А.П., Понятие убытков в гражданском праве, 2003 г.

Мельниченко А.Е., Неустойка по действующему гражданскому законодательству, НИТГУ, 2017 г.

სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების პალატის 2009 წლის 17 სექტემრის N ას-239-564-09 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის N ას-570-541-2015 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის N ას-1701-1685-2011 გადაწყვეტილება.

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/170116852011.pdf>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 იანვრის N ას-1162-1108-2013 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მაისის N ას-858-807-2010 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ივლისის N ას-264248-2011 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 მარტის N ას-932-882-2015 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 თებერვლის N ას-1586-1585-2011 გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 ნოემბრის N 2ბ/2751-14 განჩინება.

<http://library.court.ge/judgements/79822015-09-24.pdf>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 მარტის Nას-218-210-2013 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის Nას-459-438-2015 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის N ას-914-864-2015 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის N ას-1560-1463-2012 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო გავითრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის N ას-286-608-09 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის N ას-654-620-2015 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 აპრილის N ას-1199-1127-2015 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის N ას-214-204-2016 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2011 წლის 25 ნოემბრის N ას-921-960-2011 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის N ბს-690-684(2კ-11) განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის N ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 იანვრის N ას-684-655-2016 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ნოემბრის N ას-1451-1371-2017.

ნომატიული აქტები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №151/04, 2016 წლის 23 დეკემბერი - „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ.

<https://matsne.gov.ge/ka/document/download/32962/34/ge/pdf>

საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ.

<https://matsne.gov.ge/ka/document/download/101044/37/ge/pdf>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

<https://matsne.gov.ge/ka/document/download/31702/102/ge/pdf>

DIRECTIVE 2000/35/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 29 June 2000 on combating late payment in commercial transactions.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32000L0035&from=EN>

DIRECTIVE 2008/48/EC

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008L0048&from=EN>

United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, United Nations, New York, 2010 y.

<https://www.uncitral.org/pdf/english/texts/sales/cisg/V1056997-CISG-e-book.pdf>

ინტერნეტ რესურსები

გელაშვილი ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 319, 2017 წ.

<http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2017/10/Artikel-319.pdf>

განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. იხ.:

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/129794>

კიკნაველიძე პ., სასამართლო პრაქტიკის პრობლემები საქართველოში, („ართლმსაჯულების დიმიტაური“), 2009 წ.

<http://www.mkd.ge/geo/sasamart.praqtikis%20problemebi.pdf>

მესხიშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 383, 2016 წ. <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-383.pdf>

რუსიაშვილი გ., საართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 408, 2017 წ.

<http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2017/10/Artikel-408.pdf>

საქართველოს ეროვნული ბანკი ოფიციალური ვებ-გვერდი

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=130>

ჭეჭელაშვილი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 417, 2016 წ.

<http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/06/Artikel-417.pdf>

CISG Advisory Council Opinion No. 14, Interest Under Article 78 CISG.

<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/CISG-AC-op14.html#1>

CISG Advisory Council Opinion No. 14, Interest Under Article 78 CISG, Analysis of Cases Result of Analysis of 274 Decisions Relating to Art 78 CISG.

<http://cisgw3.law.pace.edu/cisg/CISG-AC-op14-chart.pdf>

Commercial Real Estate Inv., LC v. Comcast of Utah II, LLC, N 20090847, Supreme Court of The State of Utah, 10.08.2012.

<https://law.justia.com/cases/utah/supreme-court/2012/20090847.html>

Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, prepared by Study Group on a European Civil Code and the Research Group on EC Private Law (Acquis Group), based in part on a revised version of the Principles of European Contract Law.

https://www.law.kuleuven.be/personal/mstorme/european-private-law_en.pdf

[https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/15188770?transitionType=Default&contextData=\(sc.Default\)&firstPage=true&comp=pluk&bhcp=1](https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/15188770?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true&comp=pluk&bhcp=1)

Бычков А., Статья - Что можно обеспечить неустойкой?

<http://xn----7sbaj7auwnffhk.xn--p1ai/article/8104>